


გამონათვის თავისუფლება საქართველოში



2020



ანგარიში გამოცემულია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი“ - ს ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

ედუარდ მარიკაშვილი

თეიმურაზ სვანიძე

შოთა ქობალია

ანგარიშის დიზაინი:

ეკა მანჯგალაძე

© საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

www.gdi.ge

სარჩევი

შესავალი.....	6
გამოხატვის თავისუფლება.....	8
მოქმედი ხელისუფლების მიერ გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა/შეზღუდვის მცდელობა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის დონეზე.....	9
შეკრება-მანიფესტაციის უფლება.....	12
პროტესტი კარვებით	12
20 ივნისის აქციის ძალადობრივი დაშლა	12
კოორდირებული არჩევნები და შეკრება/მანიფესტაცია	13
მედიის თავისუფლება.....	15
აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე	15
რუსთავი 2-ის საქმე.....	16
სისხლისსამართლებრივი რეპრესია დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის მენეჯერების მიმართ	16
მედიის ინკასო	17
შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საქმე (1)	18
შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საქმე (2)	18
ძალადობრივი ჯგუფები, როგორც ხელისუფლების ხელში უმცირესობებთან ბრძოლის იარაღი.....	19
ღირსების მარში.....	19
ფილმის “და ჩვენ ვიცეკვით” ჩვენება	20
გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს ავტორიტეტი	21
ფადი ასლის საქმე.....	21
სტრატეგიული სამართალწარმოება	22
სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში	22
„აიისას“ საქმე.....	22
საქართველოს სახელმწიფო დროშის ან გერბის შებლავის კრიმინალიზების კონსტიტუციურობა.....	23
გვიად კუპრავას საქმე	26
ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიდგომა მსგავს საკითხებზე	29

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა	29
ხულიგნობა ვირტუალურ საჭარო სივრცეში	31
სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	33
„აიისას“ საქმე	33
სტრატეგიული სამართალწარმოება საერთო სასამართლოებში	35
მანიფესტანტთა ადმინისტრაციული დაკავების მახინჯი პრაქტიკა და მსგავსი საქმეების სასამართლოში განხილვის პრაქტიკული ხარვეზები	35
18 ნოემბერის აქცია	35
12 დეკემბრის აქცია	36
31 დეკემბრის დაკავებები	37
ასკ-ს 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სასამართლო განხილვის სტანდარტები და ხარვეზები	38
პოლიციელის ჩვენების პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი	38
გამონათვის თავისუფლება და სასამართლოს ავტორიტეტი	45
ზვიად კუპრაშას საქმე	45
სახელმწიფოს მიერ გამონათვის თავისუფლების შეზღუდვა ონლაინ საჭარო სივრცეში	46
თამაზ სოგაშვილის საქმე	46
მარიამ დოლიძის საქმე	46
გამონათვის თავისუფლება და ქალაქის იერსახე	47
გია გოჭაძის საქმე	47
ა(ა)იპ „ევროპა ჩვენი სახლიას“ საქმე	47
უფლებადამცველის პრივილეგია არ გააზიაროს მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციის წყარო	48
დავით სუბელიანის საქმე	48
გიორგი ონიანის საქმე	48
ინფორმაციის საჭაროობა	49
შპს „აქცენტი ჰოლდინგის საქმე“	49
GDI-ს მიერ წარმოებული საქმეების სტატისტიკა	50

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების კუთხით ბოლო პერიოდში არსებული მდგომარეობის სისტემატიზირებულ ანალიზს. მასში ასევე მოცემულია GDI-ს მიერ წარმოებული საქმეები, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ასევე რეგიონალურ და ეროვნულ სასამართლოებში.

ანგარიში ეყრდნობა ძირითადად სამაგიდე კვლევის მეთოდს და აანალიზებს მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონპროექტებს, ადმინისტრაციულ პრაქტიკას, განსაკუთრებით მანიფესტანტების მიმართ დამოკიდებულების ნაწილში, ასევე, სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების, როგორც საუარესო, ასევე სასიკეთო კუთხით მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ანგარიში ასევე მოიცავს გამოხატვის თავისუფლების კუთხით, როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

GDI-ს მიერ შესწავლილი საკითხები და მიმდინარე მოვლენების სამართლებრივი ანალიზი აშკარად მიუთითებს, რომ ხელისუფლების სამივე შტო მიზანმიმართულად ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს ფარგლები. მსგავსი მიდგომა კი პირდაპირ აისახება ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე. ანგარიშში იდენტიფიცირებულია ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა მიმართულების შეზღუდვის პრაქტიკული მაგალითები და ტენდენცია:

ანგარიშში გაანალიზებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება სამართლებრივი ჩარჩოს უგულებელყოფით ზღუდავს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით რეაგირებენ მანიფესტანტთა ქმედებებზე. სამართალდამცავები განსაკუთრებით მკაცრი მიდგომით ხელისუფლების მიმართ კრიტიკული აზრის გამომხატველი მანიფესტაციის მიმართ გამოირჩევიან. მსგავსი მიდგომა კი ცხადყოფს, რომ სამართალდამცავთა ქცევა არა სამართალდარღვევაზე რეაგირებას, არამედ გამოხატვის შინაარსის შეზღუდვის მიზანს ემსახურება. ხაზგასასმელია ძალოვანი სტრუქტურების მიერ მანიფესტანტთა წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხიც. მსგავს ტენდენციაზე მოწმობს სასამართლო პრაქტიკაც, რაც გამოიხატება შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის პროცესში დაკავებული პირებისადმი განსაკუთრებით მძიმე სანქციების დაკისრებაში, რაც მსუსხავი ეფექტის მატარებელია კრიტიკული აზრის გამოხატვის თავისუფლების კუთხით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ხელისუფლება არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას და არ იღებს ადეკვატურ ზომებს პირთა მიერ შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფელად - მესამე პირების მხრიდან გაუმართლებელი ჩარევის აღსაკვეთად. საბოლოო ჯამში კი ძალადობრივი და ულტრანაციონალური ჯგუფების მიერ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე არაადეკვატური რეაგირება გაუმართლებელ ტვირთად აწვება უმცირესობათა გამოხატვის თავისუფლებას, აფერხებს ტოლერანტული და პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

კიდევ ერთი სავალალო ტენდენცია გამოიკვეთა ხელისუფლების მიერ მედიის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ფარგლებში. რიგ შემთხვევაში ხელისუფლებას შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით პირდაპირი იერიში მიაქვს დამოუკიდებელ და თავისუფალ

მედიაზე (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტვ კავკასია, ტვ პირველი და სხვა), ხოლო გარკვეულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს ტელემაუწყებლების ხელმძღვანელი პირების მიმართ. მოვლენათა სისტემური და კონტექსტუალური ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავსი ქმედებები მიემართება მმართველი წრეებისადმი კრიტიკულად განმსჭვალული აზრის ჩახშობას, იდეათა ბაზრის ხელოვნურ ფორმირებას და, პოლიტიკური გავლენის სფეროების განმტკიცებას ქვეყანაში უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებები მიუთითებს მის ხელისუფლებასთან თანმხვედრ, ორკესტრირებულ ქცევაზე შეასრულოს მედიაცენზორის როლი და შეზღუდოს მედიის თავისუფლება მაშინაც კი, როდესაც ეს მისი კომპეტენციის ფარგლებსა და კონსტიტუციურ სტანდარტებს მიღმაა.

საყურადღებოა გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლო ავტორიტეტის უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვის საკითხიც. ხშირ შემთხვევაში პირის მიერ შეფასებით კატეგორიაში განცხადებული აზრი სასამართლოს მიერ კვალიფიცირდება, როგორც ცილისწამება ხოლო საჯარო დისკუსიის ფარგლებში სასამართლო ხელისუფლების შესახებ პოზიციის დაფიქსირება, სასამართლო ავტორიტეტის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მოტივით პირთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოზე, როგორც ხელისუფლების შტოზე, საჯარო დისკუსიის წარმოების ინტერესთან და ამცირებს სახელმწიფო ინსტიტუტებში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის ხარისხს.

შემაშფოთებელია მმართველ წრეებში გამოვლენილი ტენდენცია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის აღკვეთის მოტივით გამოხატვის თავისუფლების მზლუდავი რეგულირებების დაწესებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების რეგულირება უნდა განხორციელდეს თვალსაზრისობრივი ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე სასამართლო ხელისუფლების მხრიდან შეინიშნება ეთიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა და პირის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებითი სისტემების თუ შეხედულებების დაცვის მოტივით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია იცავს ობიექტურად აღქმად სიკეთეებს და არა სუბიექტურ გრძნობებს, საზოგადოება ტოლერანტული უნდა იყოს იმგვარ იდეათა გამოხატვის მიმართაც, რომლებიც შოკისმომგვრელი და მორალურად მიუღებელიც კია. ხელისუფლების მცდელობა დაიცვას აბსტრაქტული იდეალები და ღირებულებები, გაუმართლებელ ტვირთად აწვება პირის ეთიკურ დამოუკიდებლობასა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ინტერესს. ხელისუფლების მცდელობა ერთი შეხედვით კეთილშობილური მიზნებით შეამციროს და დამატებით სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, რეალურად უნდა განიხილებოდეს, როგორც სწორედ უმრავლესობის მიმართ კრიტიკული აზრის შეზღუდვის ბერკეტების განმტკიცების მცდელობა.

ფაქტია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით ყველა მიმართულებით მნიშვნელოვან პრობლემებს ვაწყდებით ქვეყანაში. ტენდენციები აჩვენებს, რომ ხელისუფლების ყველა შტო ერთობლივად ცდილობს მაქსიმალურად მოთოკოს მისდამი კრიტიკული აზრის არსებობა საკანონმდებლო ჩარჩოს გამკაცრებით, ადმინისტრაციული პრაქტიკისა თუ, სასამართლოს გადანყვეტილებების გზით. ხელისუფლების ასეთი ქცევა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის გაუარესებასთან.

გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“.

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ასევე მიზანს. იგი ის ფუნდამენტური ფუნქციური ელემენტია, რომელიც საზოგადოების განვითარებას, ხელისუფლების თვითნებობის შეზღუდვას და ადამიანის პიროვნულ განვითარებას განაპირობებს. ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია.¹

გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი დისკუსიისა და იდეათა ბაზრის წარმოების მექანიზმი დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედააა მიჩნეული. რაც უფრო მაღალია გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი, მით უფრო დიდი ღირებულება ენიჭება ინდივიდის ეთიკურ დამოუკიდებლობას. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულება გულისხმობს ინდივიდის უფლებრივ დაცვას არამხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებებისგან, ღირებულებებისგან ეთიკური ჩარჩოებისგან თუ ტენდენციებისგან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება², სადაც სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ Handyside v United Kingdom დადგენილი სტანდარტი:

„მე-10 მუხლის დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“³

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერი შინაარსის შემცველი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაც ინსტრუმენტალური ხასიათისაა და აზრის გამოხატვის კონკრეტულ ფორმას წარმოადგენს.⁴

სახელმწიფოს აკისრია როგორც ნეგატიური ვალდებულება, არ შეზღუდოს პირის გამოხატვის თავისუფლება, ასევე პოზიტიური ვალდებულება არ დაუშვას მესამე პირების მხრიდან ინდივიდის მიერ ამ უფლებით განხორციელებაში არამართლზომიერი ჩარევა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. განსხვავებით კონსტიტუციისგან, ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად “საჯარო მორალის” დაცვას მოიაზრებს. გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ და კონვენციურ სტანდარტს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი საკითხია

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის 1/3/421,422 გადაწყვეტილება პარ. 6

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის 1/3/421,422 გადაწყვეტილება

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

და სხვა მიმართულებითაც თვალსაჩინოა. მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებისა და სასამართლოს ავტორიტეტს, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობას შორის კონფლიქტის გადანაცვების კუთხით. მსგავსი სამართლებრივი დილემის წინაშე აღმოვჩნდით GDI-ის გუნდი ერთ-ერთი საქმის წარმოების ფარგლებში. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში იცავს თუ არა საქართველოს კონსტიტუცია სასამართლოს ავტორიტეტს ფართო გაგებით, ისე, როგორც ეს კონვენციის მე-10 მუხლით არის დაცული. ამ საკითხის გადაჭრისთვის პრეცედენტული საქმის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართეთ, რაზეც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ კონსტიტუციაში დეკლარირებული ნებისა, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის თაობაზე, დღესაც აქტუალური რჩება ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლების უხეში შელახვის პრაქტიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია ბოლო რამდენიმე წლის ტენდენცია, რაც ნათლად აჩვენებს ხელისუფლების მიდრეკილებას მნიშვნელოვნად შეამციროს გამოხატვის თავისუფლების არეალი საკანონმდებლო დონეზე. ასევე, საყურადღებოა შეკრება/მანიფესტაციის უფლებაში უხეში ჩარევის სიმრავლე ხელისუფლების მსგავსი მიდგომები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დემოკრატიის მაჩვენებლის გაუარესების პირდაპირი ინდიკატორი. რადგან, დემოკრატიის კლება პირდაპირპროპორციულად აისახება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მაჩვენებელზე.

მოქმედი ხელისუფლების მიერ გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა/შეზღუდვის მცდელობა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის დონეზე

გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ დაიცვას უმცირესობაში მყოფი აზრი. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუციური სტანდარტის ფარგლებში დაცულია, მათ შორის, შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი ან/და უმრავლესობისთვის მიუღებელი აზრის გამოხატვა. თუმცა, ზოგადად, საქართველოს რეალობაში და განსაკუთრებით, ბოლო წლებში მოქმედი ხელისუფლების თუ მათი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მხრიდან პერმანენტულად ისმის მსჯელობა გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო მეტად მზღუდავი საკანონმდებლო ჩარჩოს ლეგიტიმაციის თაობაზე. მსგავსი დისკუსია უმეტესწილად შეფუთულია უმცირესობების ინტერესების დაცვის მოტივით. თუმცა, ინიციატივები ძირითადად უმრავლესობაში მყოფი ჯგუფების (მმართველი პოლიტიკური ძალა, მართლმადიდებელი ეკლესია) მხრიდან უღერდება. შესაბამისად, ჩნდება განცდა, რომ გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გამკაცრება არა უმცირესობების დაცვის, არამედ უმრავლესობის მიმართ კრიტიკული აზრის შეზღუდვის მოტივს ატარებს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა რელიგიური გრძნობების ან ზოგადად შეურაცხყოფის, ცილისწამების დასჯადობის ან/და რეგულაციების გამკაცრების ინიციატივების კუთხით.

2013 წელს ხელისუფლებას ერთ-ერთი პირველი ასეთი ინიციატივა ჰქონდა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტი განიხილავდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების საკითხს. ინიციატივის მიხედვით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოიაზრებოდა, მათ შორის, მაშინ, როდესაც:

„პირი თავისი განცხადებით ან ქმედებით რელიგიური სინდინდების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილს საჯაროდ გამოხატავდა, რაც მიზნად ისახავდა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას; ან პირის საჯარო გამოხატვაში ჩანდა რელიგიური შუღლი და სიძულვილი ან შეიცავდა საჯარო მოწოდებას ამგვარი ქვედებისკენ.“

ინიციატივამ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია⁵ და საბოლოოდ მას კანონის სახე არ მიუღია.

2015 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით პარლამენტმა ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების კრიმინალიზება მოახდინა. ნორმის თავდაპირველი ვერსია ძალიან ფართო შინაარსის იყო და მნიშვნელოვნად აკნინებდა გამოხატვის თავისუფლების არსებულ სტანდარტს. აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტი ნორმაში მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით აისახა, რამაც ნორმა კონსტიტუციურ სტანდარტებს დაუახლოვა.⁶

2016 წელს საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიამ ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღდგენის მოთხოვნით საქართველოს პარლამენტს მიმართა. საკანონმდებლო წინადადებას კანონის სახე არ მიუღია. ერთ-ერთ ასეთ საკითხზე საკმაოდ შემაშფოთებელი იყო ამავე წელს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადანყვებილება. კომიტეტმა პირველი მოსმენით (პრინციპების დონეზე) მხარი დაუჭირა მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის, საქართველოს პარლამენტის წევრის, იოსებ ჭაჭვლიანის ინიციატივას, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების თაობაზე. ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მკაცრი იყო სამოქალაქო საზოგადოების გამომხაურება და საბოლოოდ კანონპროექტი ჩავარდა.⁷

ამ კონტექსტში განსაკუთრებით დატვირთული იყოს 2018-2019 წლები. 2018 წელს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით ამჯერად უკვე პატრიოტთა ალიანსის წევრმა, დეპუტატმა, ემზარ კვიციანმა მიმართა. ამ შემთხვევასაც საკმაოდ დიდი გამომხაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. არც ამ შემთხვევაში ქცეულა ინიციატივა კანონად. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პრინციპული პოზიცია მსგავსი ინიციატივების რეალობად ქცევის საშიშროებასთან დაკავშირებით.⁸

მისასალმებელია, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში შეურაცხყოფის, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის და ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირების გამკაცრების თუ დასჯადობის ინიციატივები, მხოლოდ ინიციატივებად დარჩა. თუმცა, დღემდე სხვადასხვა პერიოდულობით ყოველთვის აქტუალურდება ეს თემა, ძირითადად მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან.

5 <https://gdi.ge/ge/news/civil-society-organizations-call-on-the-parliament-of-georgia.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

6 <https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-da-media-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-shuglis-gagvivebis-taobaze-inicirebul-kanonproeqttan-dakavshirebit.page>; <https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-da-media-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-dzaladobrivi-qmedebisken-sadjarod-mowodebis-taobaze-inicirebul-kanonproeqttan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

7 <https://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformis-ara-fobias-gancxadeba-religiuri-grdznobebis-sheuracxyofis-dasdjadobis-shesaxeb-kanonproeqtis-taobaze.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

8 <https://gdi.ge/ge/news/koalicia-tanasworobistvis-mouwodebs-parlaments-ar-daushvas-religiuri-grdznobebis-sheuracxyofis-kriminalizebis-kanonproeqtis-migeba.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

ამ კუთხით საყურადღებოა 2019 წელს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის⁹, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძისა¹⁰თუ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის¹¹ მიერ გამოთქმული პოზიციები ცილისწამების და შეურაცხყოფის (ფართო გაგებით) აღკვეთის მოტივით გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს შეზღუდვასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის დასჯადობის დაუშვებლობის საკითხზე საერთაშორისო კონსენსუსი. მათ შორის, მნიშვნელოვანია 2011 წელს გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის თაობაზე გამოცემული ზოგადი კომენტარი #34. კომენტარში პირდაპირ არის მითითებული რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ან/და მკრეხელობის საფუძველზე გამოხატვის დასჯადობის დაუშვებლობაზე.¹²

საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. საქმეში გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ „*პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს... გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები.*“¹³ რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებას, საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრად თანმიმდევრულია და უთითებს, რომ ამ დროს სახეზე უნდა იყოს მოწოდება ძალადობისკენ და ის უნდა იყოს რეალური, უფრო ზუსტად კი ის უნდა ქმნიდეს „*კანონსწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს*“.¹⁴

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ პერმანენტურად, სხვადასხვა ინიციატივებით ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს შეამციროს და გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. მსგავსი მიდგომა აჩენს საფუძვლიან განცდას, რომ ერთი შეხედვით კეთილშობილური მიზნების უკან, რეალურად ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ კრიტიკული აზრის მაქსიმალური შეზღუდვის სურვილი დგას.

9 <https://www.radiotavisupleba.ge/a/29704741.html> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

10 <https://netgazeti.ge/news/333391/> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

11 <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/64693-sazogadoebis-cilistsamebisgan-dacva-thu-gamokhatvis-thavisuflebis-shezghudvis-mcdebloba> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

12 გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი #34 U.N. Doc. CCPR/C/GC/34/CRP.2 (2010): 48

13 საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/3/421,422, 10 ნოემბერი, 2009, პარ. II.7

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.105. აქვე, იხ. მიმოხილვა: <https://emc.org.ge/ka/products/emc-s-kritika-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-sakitkhze-ioseb-jachvlianis-sakanonmdeblo-initsiativaze> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

შეკრება-მანიფესტაციის უფლება

პროტესტი კარვებით

2018 წლის 26 სექტემბერს, თბილისში, პარლამენტის წინ ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ ორგანიზებულ აქციაზე პოლიცია უხეშად ჩაერია მშვიდობიანი შეკრების უფლებაში¹⁵.

აქციის მონაწილეები კარვის განთავსებას ტროტუარზე გეგმავდნენ, რაც არ გამოიწვევდა პარლამენტის შენობის ფუნქციონირების შეფერხებას/ბლოკირებას. პოლიციის თანამშრომლებმა დაშალეს კარვის კონსტრუქცია და აქციის მონაწილეებს არ მისცეს შესაძლებლობა, პროტესტი ამ ფორმით განეგრძოთ. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, პოლიციის მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების, კარვის ჩამორთმევის და ავტომანქანის ჩხრეკის შესახებ.¹⁶

პოლიციის ქმედება, არ დაუშვას აქციის მონაწილეების მიერ შეკრების ადგილას კარვის განთავსება, წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების ფორმის კონტროლის მცდელობას, რაც უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონით გარანტირებულ შეკრების უფლების არსს. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია ნეგატიური ვალდებულება, ხელი არ შეუშალოს შეკრების ჩატარებას იმ ფორმით, რომელიც მშვიდობიანია და არჩეულია აქციის მონაწილეთა მიერ. აქციის ფორმის, დროისა და ადგილის არჩევის უფლება ისევეა შეკრების უფლების ნაწილი, როგორც მისი შინაარსი და შესაძლოა სწორედ კარვის გაშლა იყოს გამოხატვის თავისუფლების შინაარსი.

20 ივნისის აქციის ძალადობრივი დაშლა

2019 წლის 20 ივნისს რუსეთის დუმის დეპუტატი, სერგეი გავრილოვი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად განიხილავს, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის სავარძლიდან, გაუძღვა მართლმადიდებლური ასამბლეის სხდომას. ამ ფაქტს მძლავრი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. აქციის მონაწილე მცირე ჯგუფის მხრიდან ადგილი ჰქონდა საჯარო წესრიგის დარღვევას, მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ცალკეულ შემთხვევებს, რასაც ხელისუფლებამ მასშტაბური და არაპროპორციული ძალის გამოყენებით უპასუხა. სამართალდამცავებმა აღკვეთეს არა კანონის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები, არამედ მნიშვნელოვანი საპოლიციო ძალის, ხელკეტების, რეზინის ტყვიებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს მშვიდობიანი აქცია.

განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ პოლიციამ არ დაიცვა სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა და წესები, საქართველოს კანონმდებლობის მკაფიო მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის გასაგები ფორმით არ გაკეთებულა გაფრთხილება აქციის შეწყვეტის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალის გამოყენების შესახებ. ზოგიერთ ეპიზოდში, პოლიცია რეზინის ტყვიებს მცირე დისტანციიდან, თავისა და სახის არეში დამიზნებით იყენებდა, რამაც გაზარდა დაზიანებების სიმძიმე. ხელისუფლების განმარტებით, მათ მიერ განხორციელებული ქმედებები კანონის ფარგლებში იყო, ვინაიდან აქციის მონაწილეთა ნაწილს საქართველოს პარლამენტში შეჭრა და სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდა განზრახული. თუმცა, მნიშვნელოვანია,

15 <http://rustavi2.ge/ka/news/114576> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

16 <https://netgazeti.ge/news/306893/> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

რომ ხელისუფლებამ ფაქტიურად ვერ შეძლო საზოგადოებისთვის დამაჯერებლად აეხსნა, რამდენად აკმაყოფილებდა მისი ქმედებები ამ საფუძვლით შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ სტანდარტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით კონსტიტუციური რეჟიმის ძალადობრივი გზით დამხობისკენ მოწოდება შეიძლება შეიზღუდოს თუკი სახეზეა მისი რეალიზების აშკარა, რეალური და მყისიერი საფრთხე¹⁷

საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემებით 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებს 275 დაზარალებული ჰყავს, მათ შორისაა 187 სამოქალაქო პირი, 38 ჟურნალისტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს 73 თანამშრომელი. სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგად 28 მოქალაქეს დასჭირდა ქირურგიული ჩარევა, ხოლო ორმა სამოქალაქო პირმა თვალი დაკარგა. საგამოძიებო უწყებებს არ ჩაუტარებიათ დროული ეფექტური და მიუკერძოებელი საგამოძიებო მოქმედებები მომიტინგეებსა და სამართალდამცავებს შორის უშუალო დაპირისპირების ფაქტებთან დაკავშირებით. დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე მიენიჭა მხოლოდ 8 სამოქალაქო პირს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთაგან 67 პირია დაზარალებულად ცნობილი.

20 ივნისს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დაძაბული ვითარების სათანადო მართვა, არ გამოიყენა მის ხელთ არსებული კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და დიალოგის რესურსი, არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნა ძალის გამოყენების წესსა და ინტენსივობასთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია მშვიდობიანად შეკრებილი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა 20 ივნისის აქციის დაშლისას სახელმწიფოს მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხი, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ზოგადად აღნიშნული აქციის დაშლის საფუძვლების კანონიერების საკითხი. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შეფასდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისას რამდენად გაითვალისწინა სახელმწიფომ რეალური საფრთხის სტანდარტები. კერძოდ, მასშტაბური აქციის მცირე ჯგუფის აქტივობა რამდენად რეალურად უქმნიდა საფრთხეს სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას და ხომ არ ჰქონდა ხელისუფლებას შესაძლებლობა, რომ მცირე ჯგუფის განეიტრალების გზით თავიდან აერიდებინა გამოხატვის თავისუფლების მასშტაბური ხელყოფა.

პროპორციული არჩევნები და შეკრება/მანიფესტაცია

2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების საპასუხოდ მმართველი პოლიტიკური პარტიის, “ქართული ოცნების” თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდებოდა. თუმცა დაპირების მიუხედავად, 2019 წლის 14 ნოემბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ კონსტიტუციაში ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ჩააგდო. ხელისუფლების მოქმედებას კვლავ მასობრივი აქციები მოჰყვა. მათ შორის, პროტესტანტებმა მიმართეს ისეთ უკიდურეს არაძალადობრივ ფორმას, როგორც არის საქართველოს პარლამენტის პიკეტირება. პროტესტის ამ ფორმას კვლავ მოჰყვა საპოლიციო ძალებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ძალებმა მანიფესტანტები წყლის ჭავლის გამოყენებით (2019

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

წლის 18 და 26 ნოემბერს) ორჯერ დაშალეს, ხოლო მესამედ (28 ნოემბერს) - რკინის ჯებირების მეშვეობით გადაკეტეს პარლამენტის შესასვლელამდე მიმავალი ყველა გზა. განსაკუთრებით საყურადღებოა მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ ცივი წყლის გამოყენება ყინვის ფონზე. ხელისუფლების ეს ქმედება შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის საერთაშორისო სტანდარტებთან უხეშად შეუსაბამოდ შეფასდა.

“შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობის შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება. თუმცა, თავისთავად ასეთი ფაქტის არსებობა არ ქმნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს, რადგან კონსტიტუციური სტანდარტიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რამდენიმე მიმართულებით უნდა შეფასდეს. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სწორედ ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებით არის მნიშვნელოვანი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული აქციის დაშლის კანონიერების შეფასება. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში აღნიშნული აქციის დაშლა და ემსახურებოდა თუ არა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვას აქციის დაშლა, ვიდრე იყო მისი არსებობით გამონვეული ზიანი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიცია გაუმართლებლად ზღუდავდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებებს მაშინაც, როდესაც შეკრება პარლამენტის წინ კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით საგანგაშოა გათბობის მიზნით აქციაზე მიტანილი შეშისა და სხვა ნივთების ჩამორთმევის ფაქტები.¹⁸ პოლიციამ აქციების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით ათეულობით პირი დააკავა, რომელთა უმეტესობასაც ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. ადმინისტრაციული წესით დაკავებების მახინჯ პრაქტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავად დაკავებული პირების სასამართლო პროცესი მრავალმხრივი დარღვევებით მიმდინარეობდა სასამართლოში.¹⁹ 18 ნოემბერს დაკავებულთა პროცესები დღესაც გრძელდება.

მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და პოლიტიკური დაპირების სამართლებრივ რეალობაში არასახვას როგორც დიპლომატიური კორპუსის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.²⁰

შეკრება-მანიფესტაციისუფლებაში უხეში და უკანონო ჩარევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2019 წლის 31 დეკემბერს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები. მერიის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა სრულიად ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე, ისე, რომ მათ ამის კანონიერი უფლებამოსილებაც კი არ ჰქონდათ, აშალეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მალხაზ მაჩალიკაშვილისა და გიორგი მამალაძის ოჯახის მიერ პროტესტის ნიშნად გაშლილი კარავები. ხოლო მათ ადგილას ჯერ ზვიგენის გამოსახულებებით საზაფხულო გასაბერი ატრაქციონი, ხოლო მისი ჩაფუშვის შემდეგ, მეორე დღეს, გასართობი ატრაქციონები მოეწყო. პოლიციამ, რომელიც მერიის უკანონო ქმედებებს იცავდა, 10 დემონსტრანტი, ასევე სრულიად უკანონოდ ადმინისტრაციული წესით დააკავა.²¹ დაკავებულთაგან, უმეტესობის ინტერესებს, თბილისის საქალაქო სასამართლოში GDI იცავდა. ამ კონკრეტულ საქმეებზე, ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

18 < <http://bit.ly/2E2egTq> > [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

19 <https://gdi.ge/ge/news/statement-21-11-2019.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

20 < <http://bit.ly/2P5Wyo8> > ; < <http://bit.ly/2LDXiyK> > ; [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

21 <https://www.radiotavisupleba.ge/a/30353967.html> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

მედიის თავისუფლება

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე

„აჭარის ტელევიზიის“ მრჩველთა საბჭომ 2019 წლის 19 აპრილს ტელეკომპანიის დირექტორი ნათია კაპანაძე თანამდებობიდან გადააყენა.²² არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ იმპიჩმენტის პროცედურის დასრულებამდე მოუწოდებდნენ საბჭოს, საკითხს განსაკუთრებული ყურადღების მიდგომოდნენ და შეეფასებინათ ის ზიანი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო დირექტორის გადაყენებით.²³

აღნიშნული ფაქტი ხელისუფლების მხრიდან დამოუკიდებელ მედიასაშუალებაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობად შეფასდა სამოქალაქო სექტორის მხრიდან.

დირექტორის თანამდებობისთვის კონკურსი ოთხჯერ გამოცხადდა, თუმცა სამ შემთხვევაში საბჭომ ვერ მოახერხა კანდიდატის შერჩევა, მეოთხე კონკურსი კი სასამართლომ შეაჩერა. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია ზოიძემ საბჭო პოლიტიკურ მოტივებში დადანაშაულა, ხოლო ტელეკომპანიის ჟურნალისტების თქმით ტელევიზია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და განსაკუთრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის საფრთხის წინაშე იდგა.²⁴ საბოლოოდ, ტელეკომპანიის დირექტორად გიორგი კობხრიძე დაინიშნა, რომელიც ტელეკომპანიის რეორგანიზაციას გეგმავს და აცხადებს რომ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები მიკერძოებულია. ჟურნალისტები კი მას სარედაქციო საქმიანობაში ჩარევაში ადანაშაულებენ.²⁵

ტელეკომპანიის ახალმა დირექტორმა 2019 წლის 23 დეკემბერს, ხელშეკრულება შეუცვალა და მნიშვნელოვანი ფუნქციები შეუზღუდა, მის მოადგილეს, ნათია ზოიძეს. ახალი ხელშეკრულებით, ნათია ზოიძეს, მანამდე არსებული უფლებამოსილებებიდან, მხოლოდ „ანგარიშების შედგენის“ ფუნქცია დარჩა.²⁶

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია ნათია კაპანაძის დირექტორობის პერიოდში შეფასდა, როგორც თავისუფალი, მიუკერძოებელი და მზარდი ინსტიტუტი. შესაბამისად, დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ სწორედ ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიაზე გავლენის შეუძლებლობა და მისი ფარგლების გაფართოება გახდა დირექტორის ცვლილების მოტივი. რაც, შემდგომმა პროცესებმაც აშკარად დაადასტურა. ახალი დირექტორის ხელმძღვანელობის პირობებში მთელი რიგი ნაბიჯები გადაიდგა ტელეკომპანიის მმართველობის ცენტრალიზაციისა და მედიის სარედაქციო პოლიტიკაზე ერთპიროვნული გადაწყვეტილებების საფუძვლის შექმნისკენ. ახალი მენეჯმენტის მიმართ, დამოუკიდებელ სარედაქციო გადაწყვეტილებებში ჩარევის კუთხით აშკარა უკმაყოფილება ფიქსირდება ამავე არხის მოქმედი ჟურნალისტების მხრიდან.

22 < <https://batumelebi.netgazeti.ge/news/196942/> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

23 <https://gdi.ge/ge/news/acharis-televizia.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

24 <http://bit.ly/2LSnPJ5> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

25 <http://bit.ly/36koDy1> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

26 <https://batumelebi.netgazeti.ge/news/246257/> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

რუსთავი 2-ის საქმე

2019 წლის 18 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლითაც არ დააკმაყოფილა წარდგენილი განაცხადი. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე გაუქმდა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაშის განცხადება ტელეკომპანიის მესაკუთრის ცვლილების შესახებ იმავე დღეს დააკმაყოფილა.²⁷ ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს ახალი მფლობელის მიერ ტელეკომპანიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები.²⁸

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე ხელისუფლების მხრიდან იერიში ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო. განვითარებული მოვლენები არაერთხელ შეფასდა, როგორც დამოუკიდებელ მედიაზე მმართველი პოლიტიკური ძალის თავდასხმა. მნიშვნელოვანი კითხვები არსებობდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მიიჩნია, რომ მედიასაშუალებისა და მისი მფლობელების მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლების/მედიის თავისუფლების დარღვევის საკითხზე შინაარსობრივი განხილვას არ მოიცავდა.

სისხლისსამართლებრივი რეპრესია დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის მენეჯერების მიმართ

პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ტელეკომპანია “მთავარის” ორი მესაკუთრისა და ამავდროს, გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასა²⁹ და გიორგი რურუას³⁰, ასევე ტელეკომპანია “პირველის” დამფუძნებლის, ვახტანგ წერეთლის მამის, ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ.³¹ ასევე, პროკურატურაში გამოკითხვაზე არაერთხელ დაიბარეს, ასევე, ხელისუფლების გავლენებისგან დამოუკიდებელი და მის მიმართ კრიტიკული, კიდევ ერთი მედიის, „ფორმულას“ გენერალური დირექტორი, ზურაბ გუმბარიძე.³²

ტელეკომპანიების ხელმძღვანელების წინააღმდეგ აღძრული სისტემური სისხლის სამართლებრივი დევნა და ზოგადად, ტელეკომპანიებთან მიმართებით შერჩევითი პოლიტიკის წარმოება ტოვებს განცდას, რომ მმართველ წრეებს სურთ მედიასივრცეში გავლენის სფეროების განმტკიცება და მათდამი კრიტიკულად მიმართული აზრის ჩახშობა.

მედიასივრცე წარმოადგენს ინფორმაციულ პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას უნდა გააჩნდეს წვდომა კრიტიკულად გააზრებულ ინფორმაციაზე, მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საჯარო დისკუსიაში, თვალყური ადევნოს იდეათა ბაზრის ფორმირების

27 <https://1tv.ge/news/sajaro-reestrma-qibar-khalvashs-rustavi-2-dauregistrira> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

28 <https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-ganxadeba-rustavi-2-ze-mimdinare-sakadro-cvllilebisshesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

29 სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა (სსკ 381-ე მუხლის პირველი ნაწილი),

30 ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების ბრალდებით (სსკ 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები)

31 “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარების ფაქტზე, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება” (სსკ 25-194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

32 <https://www.radiotavisupleba.ge/a/30108196.html> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

პროცესს. იმ შემთხვევაში თუკი სახელმწიფოს მიერ მედიასაშუალებების (მათი ხელმძღვანელების) მიმართებით გატარებული პოლიტიკა ვინროპარტიულ ინტერესებსა და გავლენის სფეროების გაფართოების სურვილს დაეფუძნება, მნიშვნელოვანწილად შეიზღუდება განსხვავებული და ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განმსჭვალული აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხზე.

მედიის ინკასო

2019 წლის 26 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, რუსთავი 2“-ის, „ტვ პირველის“, „ტვ კავკასიის“ და რამდენიმე რეგიონული მედიის ანგარიშებს ინკასო დაედო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფინანსთა სამინისტრომ ტელეკომპანიების ბალანსზე არსებული საბიუჯეტო დავალიანების დასაფარად ერთდღიანი ვადა განუსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანიები კეთილსინდისიერად იხდიდნენ გადასახადებს ბიუჯეტში, თუმცა საბიუჯეტო დავალიანება გამოიწვია მათმა პრინციპულმა უარმა გადაეხადათ გადასახადები მანამ, სანამ სახელმწიფო არ შეწყვეტდა არათანასწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას მათსა და პროსახელისუფლებო მედიების მიმართ. კერძოდ, მათი პროტესტი განაპირობა, მათ შორის ტელეკომპანია “იმედის” მიმართ სახელმწიფოს ლმობიერმა დამოკიდებულებამ გადასახადების გადახდის კუთხით. საყურადღებოა, რომ ტელეკომპანია “იმედს” ბიუჯეტის მიმართ მილიონობით ლარის დავალიანება აქვს. აღნიშნული მედიასაშუალებები ითხოვნიდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან თანაბარ მოპყრობას ჰქონოდა ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნევდათ გაუმართლებელ კონკურენტულ გარემოში არსებობა. არსებული გარემოს მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ ცალმხრივად პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო, მედიასაშუალებებს უარი უთხრა დავალიანების გადანაწილებაზე და მათ მიმართ გამოიყენა ყველაზე მკაცრი სამართლებრივი ზემოქმედების საშუალება- ინკასო.

ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულმა ქმედებამ მწვავე კრიტიკა დაიმსახურა როგორც ტელეკომპანიების წარმომადგენლების, ასევე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საგულისხმოა ისიც, რომ ტელეკომპანია “იმედს” და “მაესტროს” უკვე წლებია, სახელმწიფოს წინაშე აქვთ სოლიდარული, მილიონობით ლარის დავალიანება.³³

ფინანსთა სამინისტროს მსგავსი მიდგომა გონივრულ ეჭვებს ბადებს იმის თაობაზე რომ ხელისუფლება შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს და ლმობიერებით გამოირჩევა მმართველ წრეებთან აფილირებული ტელეკომპანიების მიმართ. მედიასივრცეში შერჩევითი პოლიტიკის წარმოება მიუთითებს ხელისუფლების მოტივაციაზე შეზღუდოს მისდამი მიმართული კრიტიკული აზრი, რაც ნეგატიურად აისახება კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებისა და ზოგადად დემოკრატიის ხარისხზე ქვეყანაში.

33 <http://tv25.ge/news.php?lang=ge&id=18818> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საქმე (1)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და სხვა მაუწყებლებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევის ოქმი შეადგინა შპს „ტელეკომპანია კავკასიისთვის“ წინასაარჩევნო დებატის გადაცემის წესის დარღვევის ფაქტზე (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მეორე პუნქტი).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საერთო მაუწყებელმა მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში. იგივეს ამბობს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მეორე პუნქტი. კომისია ამტკიცებდა, რომ „ტელეკომპანია კავკასიამ“ დაარღვია აღნიშნული წესი, რადგან დებატების ფორმატში არ მონაწილეობდა ყველა კვალიფიციური სუბიექტი.

GDI-ს წარმომადგენლობის ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ზეპირი განხილვისას „ტელეკომპანია კავკასიის“ დირექტორი, ნინო ჭანგირაშვილი, ამტკიცებდა, რომ სუბიექტები, რომელიც ეთერში არ ჩანდნენ საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად არ იყვნენ ეთერში. ტელეკომპანია დაუკავშირდა ყველა სუბიექტს და მიიწვია გადაცემაში, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა თავად განაცხადა უარი მონაწილეობაზე.

თბილისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა მარეგულირებლის მიერ გამოცემული ოქმი ტელეკომპანია კავკასიის მიერ დებატის წესის დარღვევის შესახებ და დაადგინა საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის დარღვევა, თუმცა გაათავისუფლა იგი სახდელისაგან.

GDI-მ საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ “ტელეკომპანია კავკასიის” არც სადავო პერიოდში (პირველი ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დროს) და არც მას შემდეგ წინასაარჩევნო დებატები არ დაუგეგმავს და ეთერში არ გადაუცია. ეს პროცესზე კომისიის წარმომადგენელმაც დაადასტურა და ამ ფაქტის საწინააღმდეგო რაიმე სახის მტკიცებულება კომისიას სასამართლოსთვის არ წარუდგენია. ამასვე ადასტურებს თავად კომისიის მონიტორინგის დასკვნაც. ანუ, სადავო პერიოდში „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში მინიმუმ ორი საარჩევნო სუბიექტი (პრეზიდენტობის კანდიდატი) ეთერში ერთად არ ყოფილა და მათ ერთმანეთში დებატი არ გაუმართავთ. ასევე, დისკრიმინაცია მიზანმიმართული, განზრახი ქმედებაა და საარჩევნო სუბიექტის ნებაყოფლობითი უარი ეთერში მონაწილეობის მიღებაზე ვერანაირად ვერ იქნება აღქმული, როგორც ტელევიზიის მხრიდან დისკრიმინაცია. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა მსჯელობა და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საქმე (2)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 6 დეკემბრის #668/18 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე ცნო სამართალდამრღვევად მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ 2018 წლის 23 ნოემბრიდან განათავსა პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება

მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის არჩევისთვის ხელისშემშლელ რეკლამას და რომელშიც კანდიდატი მოხსენიებულია როგორც „პათოლოგიური“, „ურჯულო“ და „მოღალატე“, წარმოადგენს არასათანადო/არაეთიკურ რეკლამას და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

GDI-ს წარმომადგენლობით შპს „ტვ კავკასიამ“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მხარე ამტკიცებს, რომ კომისიის მხრიდან მოხდა საქართველოს კანონმდებლობის არსებითი დარღვევით გამოყენება. კერძოდ, კომისიამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ რეკლამის შესახებ კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე, რასაც ეს კანონი პირდაპირ და არაორაზროვნად თავადვე მიუთითებს. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რეკლამის შესახებ კანონი გავრცელდება აღნიშნულ საქმეზე, ოქმი მაინც არაკანონიერი იყო, რადგან რეკლამა სრულად ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან სახეზეა პოლიტიკური, ყველაზე მაღალი სტანდარტით დაცული გამოხატვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ნანა აფციაურმა, 2020 წლის 16 იანვარს, არ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და კომისიის ბრძანება ძალაში დატოვა.

ძალადობრივი ჯგუფები, როგორც ხელისუფლების ხელში უმცირესობებთან ბრძოლის იარაღი

ღირსების მარში

2019 წლის 14 ივნისს LGBTQ+ თემის წარმომადგენლებმა და მხარდამჭერებმა მთავრობის კანცელარიის წინ აქცია გამართეს. აქციის ჩატარების მიზეზი გახდა ხელისუფლების (შსს-ს) მხრიდან გარანტიის არ მიცემა ღირსების მარშის უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით, რასაც ასევე დაემატა საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ისინი მთავრობას მოუწოდებდნენ რომ არ მიეცათ LGBTQ+ თემის წარმომადგენლებისთვის ღირსების მარშის ჩატარების შესაძლებლობა.

კანცელარიასთან მისულ აქციის მონაწილეებს ადგილზე, მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი ძალადობრივი ჯგუფები დახვდნენ, რომელთა მხრიდანაც ისმოდა მუქარა მათი მისამართით, ასევე ძალადობისკენ მოწოდება და ანტიდასავლური მესიჯები. შექმნილი ვითარების გამო, მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს ტერიტორიის დატოვება პოლიციის თანხლებით, მიკროავტობუსებით მოუწიათ. შსს-მ ინციდენტში მონაწილე 28 პირი დააკავა.³⁴ 2019 წლის 16 ივნისს კი ძალადობრივი ჯგუფები ვერის ბაღში შეიკრიბნენ. შეკრების ერთერთი ორგანიზატორის, ლევან ვასაძის, განცხადებით ისინი ჩამოაყალიბებდნენ ე.წ. “სახალხო რაზმებს”, მიმართავდნენ უშუალო ფიზიკური ძალადობის ფორმებს და არ დაუშვებდნენ LGBTQ+ თემის მიერ “ღირსების მარშის” ჩატარებას. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი სამართალდამცავები ეცდებოდნენ “თბილისი პრაიდის” ორგანიზატორთა დაცვას, უკან არ დაიხევდნენ და ხის კომბლების გამოყენებით ეცდებოდნენ ამ წინააღმდეგობის დაძლევის³⁵. შსს-მ ამ განცხადებაზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ხელშესახები შედეგები აღნიშნულ გამოძიებას ამ დრომდე არ მოჰყოლია. მიუხედავად მტრული გარემოს არსებობისა, ძალადობრივი კონტრაქციების ფონზე, სამართალდამცავთა

34 <https://civil.ge/ka/archives/308548> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

35 <https://on.ge/> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

მაქსიმალური ინდიფერენტულობის მიუხედავად, 2018 წლის 08 ივლისს შეიძლება ითქვას, რომ ღირსების მარში შედგა.³⁶

ამდენად, 14 ივნისს კანცელარიასთან ლგბტ+ აქტივისტებს არ მიეცათ საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალება. ისინი, ისევე როგორც იქ მყოფი სხვა მშვიდობიანი მოქალაქეები, ჟურნალისტები და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, გახდნენ მუქარისა და ძალადობის ობიექტები, რაზეც ხელისუფლებას სათანადო რეაგირება არ ჰქონია. გასათვალისწინებელია, რომ, მსგავსი კონტრაქციების მოწყობამ ბოლო წლებია პერმანენტული ხასიათი მიიღო და მათი აბსოლუტური უმრავლესობა არამშვიდობიანი და ძალადობრივია. მაგალითად, ასეთი კონტრაქცია ჩატარდა ბასიანის სპეცოპერაციის შემდეგ გამართული მშვიდობიანი აქციის საწინააღმდეგოდ 2018 წლის მაისში, აქცია „სირცხვილიას“ წინააღმდეგ 2019 წლის ივლისში, ფილმის „და ჩვენ ვიცეკვით“ ჩვენებასთან დაკავშირებით 2019 წლის ნოემბერში და ა.შ.³⁷

აღნიშნული ჯგუფები საჭაროდ იმუქრებიან, ავლენენ აგრესიას და გამოირჩევიან ძალადობრივი ქმედებებით საზოგადოების სხვა ჯგუფების მიმართ (მაგალითად მიგრანტების, LGBTQ+ თემის, კლუბური ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდების მიმართ), თუმცა სახელმწიფოს მათი მოქმედებების საწინააღმდეგოდ აქვს მხოლოდ რეაქციული მიდგომა, ისიც არასათანადო დონეზე. ასეთი ჯგუფების გაძლიერების და პერმანენტულად მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაშინების და დაშლის შემთხვევების გაზრდა განპირობებულია სწორედ ხელისუფლების ინერტულობით და ამ მიმართულებით რაიმე პოლიტიკის არარსებობით, მეტიც უფრო მეტად მყარდება ამ ჯგუფებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ეჭვები. ამგვარი ტენდენციის გაგრძელებამ კი შესაძლოა კონფლიქტის ახალი კერების გაჩენა და ვითარების გაუარესება გამოიწვიოს

ფილმის “და ჩვენ ვიცეკვით” ჩვენება

2019 წლის 8 ნოემბერს თბილისის კინოთეატრებში გაიმართა ფილმის “და ჩვენ ვიცეკვით” პრემიერა, რომელიც ეხება ახალგაზრდა გეი წყვილის ცხოვრებას. თუმცა ფილმის ჩვენებამდე და მისი მიმდინარეობისას ძალადობრივმა ჯგუფებმა კინოთეატრების წინ მოაწყვეს აქცია, ისინი იმუქრებოდნენ, რომ არ დაუშვებდნენ სეანსის ჩატარებას, ჩაშლიდნენ პრემიერას და მოახდენდნენ კინოთეატრის ბლოკირებას. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა თბილისში, კინოთეატრ “ამირანთან”, სადაც ძალადობრივი შეკრების მონაწილეები პერიოდულად აწვებოდნენ პოლიციის კორდონს და მის გარღვევას ცდილობდნენ. იყო ძალადობრივი ქმედებების კონკრეტული შემთხვევებიც. მაგალითად, სამოქალაქო აქტივისტს ანა სუბელიანს შეკრების მონაწილემ მყარი საგანი ესროლა და თავის არეში მძიმე დაზიანება მიაყენა. ამის გარდა აგრესიის მსხვერპლი პოლიტიკოსი დავით ბერძენიშვილიც გახდა, რომელიც პოლიციის კორდონით განარიდეს კინოთეატრს, იმის ნაცვლად რომ თავად მოძალადე პირები გაენეიტრალებინათ. შეკრების მიმდინარეობისას ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან არ წყდებოდა ჰომოფობიური და მუქარის შემცველი აგრესიული შედახილები იმ პირების მიმართ, რომლებიც კინოთეატრში ფილმის სანახავად შედიოდნენ.³⁸

36 <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%92%E1%83%90/30044249.html> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

37 <http://www.tabula.ge/ge/story/132700-qsenofobiuri-ultranacionalisturi-jgufebi-rustavelis-gamzirze-aqciasmartaven> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

38 <https://gdi.ge/ge/news/ara-fobias-gamoxmaureba-2019-wlis-8-noembers-ganvitarebul-movlenebtandakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

უარყოფითად უნდა შეფასდეს ხელისუფლების უყურადღებობა ფილმის პრემიერამდე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების განცხადებების მიმართ, რომლებიც საჭაროდ იმუქრებოდნენ და მხარდამჭერებს კინორიგების ჩაშლისკენ მოუწოდებდნენ. საყურადღებოა სამართალდამცავთა არაეფექტური რეაგირება კონკრეტულ სამართალდარღვევებსა და გადაცდომებზე, რაც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს ხელისუფლების უთანასწორო მიდგომას და მის შესაძლო კავშირს ძალადობრივ ჯგუფებთან. მსგავსი დამოკიდებულება ვლინდება ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ჯგუფებთან მიმართებით მკაცრი და გადამეტებული სამართლებრივი ზომების გამოყენებაში, ხოლო მსგავსი ჯგუფების მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებაში.³⁹

გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს ავტორიტეტი

ფადი ასლის საქმე

ფადი ასლიმ მოსამართლეს, რომელმაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრ კომპანიებს სოლიდური ჯარიმა დააკისრა, „კორუმპირებული“ უწოდა, მისი განცხადებით:

„მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე არის კორუმპირებული მოსამართლე, მოსამართლემ გადაწყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო, მოსამართლის მიერ კომპანიები უხეშად იქნენ მოტყუებულნი და დაშანტაჟებულნი“

მოსამართლე, ვლადიმერ კაკაბაძემ, ცილისწამების ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საქალაქო სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ თავად კაკაბაძე სწორედ ამ სასამართლოში იყო დასაქმებული. საქმის განხილვის დაწყებამდე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ფადი ასლის განცხადებებს საჭაროდ უპასუხა. სასამართლოს მიმართვა ასე იწყებოდა:

„სასამართლო ხელისუფლება მკაცრად გმობს და დაუშვებლად მიიჩნევს მოსამართლის მიმართ გამოთქმულ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას.“⁴⁰

ფაქტიურად, საქალაქო სასამართლოს განცხადებაში ინფორმაცია წინასწარ, წარმოდგენილი იყო როგორც დადასტურებული ფაქტები. მიუხედავად მიუკერძოებლობის მინიმალური სტანდარტის არ არსებობისა, ვლადიმერ კაკაბაძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა, დააკმაყოფილა და ფადი ასლის მოსარჩელის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც.

2019 წლის 16 აპრილის Nას-591-591-2018 გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ ფადი ასლის განცხადება წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, აზრს, რომელიც აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით. სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის თანახმად:

39 <https://gdi.ge/ge/news/ara-fobias-gamoxmaureba-2019-wlis-8-noembers-ganvitarebul-movlenebtandakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

40 <https://www.interpressnews.ge/ka/article/424688-tbilisis-sakalako-sasamartlo-padi-aslis-pasuxobs> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

“გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეფასდეს აზრად, რაც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და იწვევს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას” “მოპასუხის მიერ გავრცელებული თუნდაც მწვავე, კრიტიკული განცხადება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ დებატში წვლილის შეტანად”.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე, რომელიც თმენის ვალდებულების ფარგლებში არ მოიპოვებს მოსამართლისადმი, როგორც საჯარო პირისადმი, კრიტიკულად გაკეთებულ, თუნდაც შეურაცხმყოფელ განცხადებას და არ სცნობს მას აბსოლუტური პრივილეგიით დაცულ შეფასებით მსჯელობად, პარლამენტმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.

სტრატეგიული სამართალწარმოება

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

„აიისას“ საქმე

2019 წლის 24 აპრილს GDI-ს წარმომადგენლობით, „აიისას“ დამფუძნებელმა, ანი გაჩეჩილაძემ კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. სარჩელში რამდენიმე ნორმის სადავობაზე ვუთითებთ. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „არაეთიკური“ რეკლამის დეფინიცია (მუხლი 3.5) და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით არაეთიკური რეკლამის გავრცელებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება (მუხლი 159) ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის, შემოქმედების თავისუფლებას და არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილი ნორმის განსაზღვრულობის ხარისხს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 04 მაისის, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ამავე წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებებით, შესაბამისად, მოსამართლეების ლაშა თავართქილაძისა და ლევან მურუსიძის ავტორობით, მიიჩნიეს, რომ პრეზერვატივების მწარმოებელ ქართულ კომპანია - „აიისას“ მიერ, პრეზერვატივის შეფუთვაზე კონკრეტული გამოსახულებების (თამარ მეფის გამოსახულება, წარწერით „სამეფო კარი თამარში“, ტექსტის - „ძღვეაი საკვირველი“, მარცხენა ხელის მტევნის (სასამართლომ მიიჩნია რომ ეს არის „მაკურთხეველი მარჯვენა“, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები ჯვარს გამოხატავენ) და პანდას ფოტო, ტექსტით - „ჩამოგვკრავდი მარა ნათლისღება“) დატანა, არის არაეთიკური (რეკლამის გავრცელების წესის დარღვევა/არაეთიკური რეკლამის გავრცელება) და მსგავსმა გამოხატვამ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის რელიგიური გრძნობები და ეროვნული ღირსება შელახა. ამის გამო, ანი გაჩეჩილაძე დაჯარიმდა 500 ლარით, ხოლო დამატებითი ღონისძიების სახით აეკრძალა ოთხივე ვიზუალის (გამოსახულება და წარწერა) გავრცელება/განთავსება და მათი საქართველოს სასაქონლო ბაზრიდან ამოღება დაევალა.

მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყვეს კონსტიტუციური სტანდარტები და გადაწყვეტილება თვითნებურად, გამოსაყენებელი ნორმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე მიიღეს. სასამართლომ ჩათვალა, რომ ინდივიდების გამოხატვა უნდა შეიზღუდოს უმრავლესობის/საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის სუბიექტური აღქმებით და შეხედულებებით რელიგიასა და მორალზე. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ხედვა პირდაპირ

ენინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე თანამედროვე დემოკრატიულ პრინციპებს.

კონსტიტუციურობის თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა აწესებს გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად არანეიტრალურ შეზღუდვას. ასევე, დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების ისეთი სუბიექტური ცნებებით შეზღუდვა, როგორცაა მორალი და ეთიკა, რელიგიური გრძნობები. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად არ ითვალისწინებს საჯარო მორალს.

საქართველოს სახელმწიფო დროშის ან გერბის შებღალვის კრიმინალიზაციის კონსტიტუციურობა

„აიისას“ სარჩელში, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, ასევე სადავოდ არის გამხდარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო დროშის ან გერბის შებღალვისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლის თანახმად, *„საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა, – ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“*.

მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა ვერ აკმაყოფილებს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. კერძოდ, ბუნდოვანია, თუ რა მოიაზრება ტერმინ „დროშის“ ქვეშ. კერძოდ, გაურკვეველია დროშაში იგულისხმება მხოლოდ ქსოვილი, თუ, მათ შორის, ქალაქში დატანილი გამოსახულება ან ელექტრონულად შექმნილი ნივთი. ამასთანავე, ბუნდოვანია ისიც, თუ რა მოიაზრება ტერმინ „შებღალვაში“. მოსარჩელის პოზიციით, დაუშვებელია მსგავსი ქმედებების აკრძალვა და გამოხატვის თავისუფლების ამ თვალსაზრისით შეზღუდვა, რადგან დემოკრატიულობა გულისხმობს სწორედ რომ სითამამისა და გამბედაობის წახალისებას ადამიანებში, არ დაემორჩილონ ხელისუფლების უსამართლო პოლიტიკას და, რიგ შემთხვევებში, გამოხატვის ისეთი ეფექტური ფორმაც გამოიყენონ, როგორცაა, მაგალითად, საკუთარი ქვეყნის დროშის დანვა.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი რეგულირებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პრობლემურია ლეგიტიმურ მიზნებთან შესაბამისობის კუთხითაც. სადავო ნორმას არ აქვს ღირებული ლეგიტიმური მიზანი, რომლის დაცვასაც შესაძლოა იგი ემსახურებოდეს. სავარაუდოა სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნეოდეს სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, თუმცა მსგავსი ლეგიტიმური მიზანი განხილული უნდა იქნას მყისიერი, „იმნუთიერი“ საფრთხის პირობებში. საქმეში *„ბრანდერბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“* ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ *„გამოხატვა არ შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სახეზე გვაქვს უკანონო ქმედების მყისიერი გამონკვევა და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ უკანონო შედეგი დადგება.“* აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მირ ჩამოყალიბებულ აშკარა და მყისიერი საფრთხის ტესტს. ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ნამსჯელი აქვს საქმეში *ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.⁴¹

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება 'მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის'~, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება 'საქართველოს კონსერვატიული პარტია'~, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II.3.91

მოცემულ შემთხვევაშიც დროშის ან გერბის შებღალვის აქტიური მოქმედება შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე გვახსნის მყისიერი გამონვევა და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ მსგავსი მოქმედება გამოიწვევს მძიმე შედეგს. სადავო ნორმა არ ითვალისწინებს იმნუთიერი საფრთხის ელემენტს და იგი ბლანკეტურად ზღუდავს ყველა დროშის ან გერბის შებღალვის ფაქტს, რის გამოც იგი განხილული უნდა იქნას როგორც გამონათვის თავისუფლების ბლანკეტური შეზღუდვა, რომელსაც არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა:

ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფის კრიმინალიზაციას დიდი სამართლებრივი ისტორია აქვს. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე აშშ-ში თითქმის ორმოცი სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს, რომელიც დროშის შებღალვას შეეხება.⁴²

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1777 წლის 14 ივნისს, კონტინენტალურმა კონგრესმა ამერიკის დროშის დიზაინი მიიღო, თუმცა სამოქალაქო ომამდე დროშა არ ყოფილა ამერიკელთათვის პოპულარული სიმბოლო. სამოქალაქო ომის დროს ამერიკის დროშამ შეიძინა სრულიად სხვა პოლიტიკური დატვირთვა, იგი იქცა ბრძოლის სიმბოლოდ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, ხოლო მას შემდეგ რაც კონფედერაციის დროშა წარსულს ჩაბარდა, ამერიკის ახალი დროშა იქცა რასიზმსა და ბოროტებაზე გამარჯვების, თავისუფლების მოპოვების სიმბოლოდ, რის შემდეგაც მისი პოპულარობა გაიზარდა. პოლიტიკოსებმა დროშის გამოყენება აქტიურად დაიწყეს. თითოეული მათ გამოსვლა დროშის თანხლებით ხდებოდა, რამაც სრულიად სხვა დატვირთვა შესძინა ეროვნულ დროშას.⁴³

1897 წელს შტატებმა დროშის შებღალვის ამკრძალავი კანონები მიიღეს. XIX საუკუნის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა ორგანიზებული მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა ამერიკის ეროვნული დროშის გამოყენება აკრძალულიყო კომერციულ და პოლიტიკურ სფეროებში. მოძრაობამ ვერ მოახერხა კონგრესი დაეთანხმებინა ფედერალური კანონის მიღებაზე, თუმცა ილინოისი, პენსილვანია და სამხრეთ დაკოტა პირველი შტატები გახდნენ, რომლებმაც დროშის შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონები მიიღეს. 1932 წლისთვის ყველა შტატს ჰქონდა მსგავსი კანონი.⁴⁴ ამდენად, დროშის გამოყენების ამკრძალავი კანონების მიღება დაკავშირებული იყო პოსტ სამოქალაქო ომის პერიოდთან: თეთრკანიანი სამხრეთელების პრეფერენციებთან, რომლებიც იყვნენ კონფედერაციის დროშის მომხრენი და კერძო სექტორში არსებულ ტენდეციებთან, რომლებიც ამერიკის დროშას სარეკლამო ლოგოს სტანდარტის სახით იყენებდნენ.⁴⁵

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ თანმიმდევრობით არაკონსტიტუციურად ცნო ყველა კანონი, რომელიც ამერიკის დროშის შეურაცხყოფას კრძალავდა. კერძოდ:

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ *ჰალტერი ნებრასკას წინააღმდეგ* საქმეში, რომელიც დროშის შეურაცხყოფას შეეხებოდა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ დროშა იყო ფედერალური ხელისუფლების მიერ შექმნილი სიმბოლო, შტატებს ჰქონდა უფლებამოსილება დროშის შეურაცხყოფა აკრძალათ საჯარო წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი

42 Rosenblat Albert M., *Flag Desecration Statutes: History and Analysis*, 193

43 Welch Michael, *Flag Burning, Moral Panic and the Criminalization of Protests, The Civil War Era and the Emerging Significance of the Flag*, 21

44 <<http://www.ushistory.org/betsy/more/desecration.htm>> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

45 <<https://www.thoughtco.com/united-states-flag-burning-laws-history-721207>> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.⁴⁶ ჰალტერი აწარმოებდა ბრენდირებულ ლუდს, რომელსაც ამერიკის დროშა ჰქონდა სიმბოლოდ გამოყენებული. ჰალტერს არ მოუთხოვია სასამართლოს წინაშე, ნებრასკას კანონის კონსტიტუციურობის გადამოწმება პირველ შესწორებასთან მიმართებით.⁴⁷

მიუხედავად იმისა რომ ისტორიულად ამერიკაში, დროშის შებღავის ამკრძალავი კანონების მიღება მეოცე საკუნის დასაწყისში მოხდა, აღნიშნული პოლიტიკის გამკაცრება 70-იან წლებს უკავშირდება, როდესაც 1968 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო ფედერალური კანონი დროშის შეურაცხყოფის აკრძალვის შესახებ. კანონი იყო პასუხი ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში გამართულ აქციაზე მასობრივი დროშის დანვის ინციდენტზე, სადაც პირები აპროტესტებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ომს ვიეტნამში.

უზენაესმა სასამართლომ საქმეში სთრიტი ნიუ იორკის წინააღმდეგ აღნიშნა რომ დროშის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაუშვებელია პირის პასუხისმგებლობაში მიცემა. 1974 წელს უზენაესმა სასამართლომ სმიტი გოგენის წინააღმდეგ საქმეში აღნიშნა რომ მასაჩუსეტის შტატის კანონი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რადგან არ შეიძლებოდა პირი პასუხისმგებლობაში მიეცათ ტანისამოსზე ამერიკის დროშის გამოყენებისათვის. სმიტს ამერიკის დროშით საკუთარ ჯინსზე ჯიბე ჰქონდა მოკერებული. კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი იყო მისი ბუნდოვანება (void for vagueness).⁴⁸

სპენსი ვაშინგტონის წინააღმდეგ საქმეში სასამართლომ აღნიშნა რომ დროშაზე მშვიდობის სიმბოლოს მიმაგრებისათვის დაუშვებელი იყო პირის პასუხისმგებლობა. სპენსს შეეძლო მსგავსი ფორმით პროტესტი გამოეთქვა. ეს იყო პირველი შემთხვევა სადაც სასამართლომ აღნიშნა რომ დროშის ფიზიკური გამოყენება პროტესტის კონკრეტული ფორმასთან შესაბამისად სიტყვის თავისუფლებით იყო დაცული.⁴⁹

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც დროშის შეურაცხყოფას უკავშირდება იყო ჯონსონი ტეხასის წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ აღნიშნა რომ ამერიკის დროშის ნებისმიერი ფორმით შეურაცხყოფა კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სფეროს წარმოადგენდა და აღნიშნული გამოხატვის შეზღუდვა დაშვებული იყო მხოლოდ „ამკარა და მყისიერი საფრთხის“ არსებობის შემთხვევაში. მოსამართლე ბრენანმა გადანყვეტილებაში დაწერა რომ „წარმოუდგენელია უფრო მიზანშეწონილი პასუხი დროშის დანვაზე, ვიდრე საკუთარი დროშის აფრიალება. დროშის დაცვა არ ხდება მისი შეურაცხყოფის დასჯით, არამედ დროშა მაშინ არის ყველაზე მეტად დაცული, როდესაც იგი განავრცობს იმ თავისუფლებას, რომელსაც აღნიშნული სიმბოლო ემსახურება.“⁵⁰

ამდენად, სახელმწიფო სიმბოლოების შებღავის გამო პასუხისმგებლობის დამდგენი კანონების მიღებას აშშ-ში ჰქონდა კონკრეტული ისტორიული კონტექსტი, რომელიც ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობას და არსებულ გამოწვევებს უკავშირდებოდა. თუმცა მიუხედავად ამ გამოწვევებისა, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ფაქტობრივად არც ერთ შემთხვევაში არ გაამართლა დაწესებული შეზღუდვები. აღნიშნულის საპირისპიროდ, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში და საქართველოში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით

46 Halter v. Nebraska (205 U.S. 34)

47 Rosenblat, Albert M., Flag Desecration Statutes: History and Analysis, 202

48 Smith v. Goguen (415 U.S. 94)

49 Spence v. Washington (418 U.S. 405)

50 <<https://www.thoughtco.com/united-states-flag-burning-laws-history-721207>> [უკანასკნელად ნანახია 22.01.2020]

არ დგას რაიმე კონკრეტული საჭიროება, რომელიც გვაფიქრებინებდა ასეთი ნორმების შენარჩუნების აუცილებლობაზე. თუმცა ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაშიც კი, სადავო ნორმები არაპროპორციულად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის, განუჭვრეტადობისა და ბლანკეტურობის გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 24 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით „აიისას“ საქმეზე კონსტიტუციური სარჩელი (მათ შორის, სახელმწიფო დროშის და გერბის კრიმინალიზების ნაწილში) არსებითად განსახილველად მიიღო.

ზვიად კუპრავას საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე, ელენე გოგუაძემ, 2019 წლის 01 აგვისტოს განაჩენით, ზვიად კუპრავა დამნაშავედ ცნო სასამართლოს უპატივცემულობაში, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი დანაშაულად აცხადებს სასამართლოს უპატივცემულობას. ნორმის პირველი ნაწილით დასჯადია სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით და ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. ხოლო, მეორე ნაწილი მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევს, სასამართლოს უპატივცემულობას, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ზვიად კუპრავას წინააღმდეგ მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლო ფაქტზე. სხდომის მიმდინარეობისას, მასალების შესწავლის მიზნით, მოსამართლემ გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება. ამ დროს ზვიად კუპრავა ჩავიდა სასამართლოს შენობაში არსებულ სასაბუღალტროში. შესვენების პერიოდში, სასაბუღალტროში, მასთან გამოცხადნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და მიუთითეს დარბაზში დაბრუნებისაკენ, რის პასუხადაც კუპრავამ განაცხადა, რომ დათქმულ დროს დაბრუნდებოდა. შსს-ს წარმომადგენლებმა კვლავ განაგრძეს მოთხოვნა და მიუთითეს მას, რომ მოსამართლე ელოდებოდა, რაზეც კუპრავამ განაცხადა, რომ მოსამართლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა („ყლებზე მკიდია მოსამართლე“). სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეფასდა, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფაში.

ზვიად კუპრავას სახელით, კონსტიტუციური სარჩელით მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს, სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის გარკვეული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მიგვაჩნია, რომ ნორმა ერთი მხრივ, ვერ პასუხობს კონსტიტუციით დადგენილ განჭვრეტადობის ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ ლახავს გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2019 წლის 05 ივლისის საოქმო ჩანაწერით, ზვიად კუპრავას სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო. საქმეზე უკვე გაიმართა არსებითი სხდომები და სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად სათათბიროდ გავიდა.

საქმე პრეცედენტული და მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების საზღვრებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესის ფარგლების დადგენის კუთხით. მსგავს საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საქმემდე არ უმსჯელია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად უთითებს „სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.“ თუმცა, ამასთანავე, ის ფაქტი, რომ გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტით დაცულია, მათ შორის, მოსამართლესა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამოთქმა, მკაფიოდ ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდანაც, რომლის მიხედვითაც *„სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოუკიდებულების გამოხატვა [...] ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა.“*⁵¹ *„მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს [...] მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული.“*⁵²

საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ჩანაწერი ამომწურავად და არაორაზროვნად ასახელებს იმ დაცვის ღირს ინტერესებს, რომელთა მიმართაც შესაძლოა გამოხატვის თავისუფლება დაექვემდებაროს რეგულირებას. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც სასამართლო სისტემის, კონკრეტული მოსამართლის ან მართლმსაჯულების პროცესის დაცვისკენაა მიმართული უნდა ემსახუროდეს (1) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და (2) სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.

ზემოხსენებულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „დანესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით“⁵³ გამართლებულია გარკვეული სახის რეგულირების შემოღება. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი გამოხატვის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანია სასამართლოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, ზეწოლისაგან მისი დაცვა, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. *„საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს.“*⁵⁴

წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის რელევანტურია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე ონისე მებონია და ვახტანგ მასურასშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. კერძოდ, სასამართლოს მიერ ერთი მხრივ სადავო ნორმისა და მისი ლეგიტიმური მიზნების განმარტება, ხოლო მეორე მხრივ ისეთი საკითხების შეფასება, როგორცაა მოსამართლის მიუკერძოებლობა, სასამართლოს ავტორიტეტი, ეფექტური მართლმსაჯულება, მოსამართლის პატივი და ღირსება და ა.შ.

*„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მიუხედავად სასამართლოსადმი გამოხატული უპატივცემულობის აღკვეთის საკითხზე სახელმწიფოთა არაერთგვაროვანი მიდგომისა, ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი, რაზეც დემოკრატიული ქვეყნები ამახვილებენ ყურადღებას არის ის, რომ სახელმწიფოში ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის ხარჯზე.“*⁵⁵ სასამართლო ასევე

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება 'მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის', მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება 'საქართველოს კონსერვატიული პარტია', საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II პარ. 68;

52 იქვე. პარ. 69

53 იქვე. პარ. 59

54 იქვე. პარ 60,61

55 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურასშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II გვ. 11

აღნიშნავს, რომ „სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, სასამართლო სხდომის ჩატარების უზრუნველყოფა, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება ზოგადად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვას.“

სასამართლოს შეფასებით, „ეს მიზანი იდენტურია ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ უპატივცემულობის აღკვეთისას და, ბუნებრივია, გადამწყვეტი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოიხატება მოსამართლის, როგორც პიროვნების, მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, რადგან ის მართლმსაჯულების განხორციელებისას განასახიერებს სასამართლოს, შესაბამისად, არა აქვს უფლება, იყოს სუბიექტური და გამოიტანოს არასწორი, არასამართლიანი გადაწყვეტილება. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია მისი და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისთვის.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია იმის ცალსახად მტკიცება, რომ „მოსამართლე სადავო ნორმებით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში იქნება აუცილებლად მიკერძოებული. ამის დარწმუნებით მტკიცება არც მაშინ შეიძლება, როდესაც უპატივცემულობა გამოხატულია მოსამართლის პიროვნების წინააღმდეგ. მართალია, მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფციის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევაში ის შესაძლოა ვერ იყოს ობიექტური, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია არა სადავო ნორმის შინაარსზე, არამედ თავად მოსამართლეზე და მის დამოკიდებულებაზე ამ თანამდებობის, მთლიანად სასამართლო ხელისუფლების მიმართ, აქედან გამომდინარე, მის უნარზე, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაექვემდებაროს პიროვნულ, სუბიექტურ ფაქტორებს. ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ მოსამართლის (სასამართლოს) მიუკერძოებლობა, მოსამართლე ვალდებულიცაა საქმის განხილვა სხვა მოსამართლეს მიანდოს.“

ამავე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ირლანდიის მიდგომა და განმარტა, „რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობა არ არის სამართალდარღვევა, მიმართული მოსამართლის პირადი ღირსების წინააღმდეგ, არამედ ხელს უშლის მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას. უფლებამოსილება, შეაფასო ასეთი ქმედება და შეუფარდო სანქცია, განიხილება როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი და მოსამართლის ავტორიტეტის თანამდევნი ფაქტორი. აღნიშნულით უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეფექტიანი და ჯეროვანი განხორციელება.“

სწორედ, სმჯელობის ამ ლოგიკიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სსკ-ის 366-ე მუხლის ისეთი ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასამართლოს პროცესის მიმდინარეობის (სხდომის დარბაზს) მიღმა მოსამართლის შეურაცხმყოფელ გამოხატვის დასჯადობას აწესებს, არ არის კონსტიტუციური. მით უმეტეს, იმიტომ, რომ კონსტიტუცია, განსხვავებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისგან, იცავს არა ფართოდ სასამართლოს ავტორიტეტს, არამედ, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას სასამართლოსი, რაც თავის მხრივ, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვას ემსახურება, თუმცა მხოლოდ ამ ქრილში. შესაბამისად, კონსტიტუციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა ცალკე აღებული შეურაცხმყოფელი გამოხატვა მოსამართლის მიმართ და მისი პატივი და ღირსება, რაც რა თქმა უნდა ფართო გაგებით სასამართლოს ავტორიტეტის ნაწილია, არამედ ისეთი გამოხატვა, რაც მართლმსაჯულების განხორციელებას უშლის ხელს.

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიდგომა მსგავს საკითხებზე

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი მსგავსია ამერიკის შეერთებული შტატების მოდელის, რომელიც გამოირჩევა გამოხატვის თავისუფლებაზე ორიენტირებული მიდგომით და რიგ საკითხებში გვთავაზობს ზოგადევროპულზე უფრო მაღალ დაცვის ხარისხს. ამიტომ, სიტუაციის უფრო ნათლად წარმოსაჩენად და საკითხის უკეთ გაანალიზების მიზნით, მართებულად მიგვარჩნია მიმოვიხილოთ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლოს განმარტებით, შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება იცავს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, მოსამართლისა და მისი გადაწყვეტილების კრიტიკას ისეთივე მაღალი ხარისხით, როგორც დაცულია პოლიტიკური შინაარსის გამოხატვა.⁵⁶ უზენაესი სასამართლოს განმარტებით დაცულია, როგორც კრიტიკა, ასევე მოსამართლისა და ინსტიტუტის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხატვა.⁵⁷ საქმეში *Pennkamp v. Florida* ნათქვამია, რომ კრიტიკისა და შეურაცხყოფის მიმართ აუცილებელია მიმღებლობა, ხოლო „სუსტი პიროვნებები ვერ იქნებიან მოსამართლეები.“ საქმეში *Craig v. Harney* სასამართლო იყენებს თვითკრიტიკულ ტერმინოლოგიას და მიუთითებს, რომ „შეურაცხყოფის მარეგულირებელი კანონი არ შეიძლება იყოს ისეთი მოსამართლეების თავშესაფარი, რომლებიც სენსიტიურები არიან საჯარო კრიტიკის ქარცეცხლის მიმართ“. თუმცა, მიუხედავად ამგვარი ფართო საზღვრებისა, სასამართლო გამოხატვის თავისუფლების ამ ასპექტს არ ანიჭებს აბსოლიტურ პრივილეგიას. პრაქტიკის თანახმად, შეურაცხმყოფელი გამოხატვა შესაძლოა შეიზღუდოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს უკანასკნელი მიმართულია მიმდინარე (წარმოებაში მყოფი) საქმისა და მისი მოსამართლის წინააღმდეგ და რეალურ საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულებას.⁵⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა

ქართული და ამერიკული სტანდარტისაგან განსხვავებით, შედარებით მკაცრ მიდგომას გვთავაზობს ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. აღსანიშნავია, რომ კონვენციისა და ევროპული სასამართლოს მკაცრი მიდგომა შესაძლოა აქტების ტექსტუალური განსხვავებითაც იყოს განპირობებული. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს „მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის“ დაცვაზე. ხოლო, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს სასამართლოს „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ განსხვავებით კონსტიტუციისაგან კონვენცია საკუთარ ტექსტში პირდაპირ უსვამს ხაზს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს. აღნიშნული კი შესაძლოა იყოს ევროპული სასამართლოს მიერ სასამართლოს ავტორიტეტის ცნების უფრო ფართო გააზრების საფუძველი.

სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი შტოს ავტორიტეტის შენარჩუნება მრავამხრივი შინაარსის მატარებელი ცნებებია, რის გამოც, დავის გადაწყვეტის პროცესში ევროპული სასამართლოსაგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე მსჯელობას მოითხოვს. კვლევის მოცულობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მხოლოდ ერთ, მე-10 მუხლთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე იქნება მსჯელობა.

56 Freedom of Speech and Permissible Degree of Criticism of Judges In Jurisdiction of European Court of Human Rights and U.S Courts, David.K, 2007, Budapest, Hungary

57 *Bridges v. California*, 314 US 252 (1941)

58 *Bridges v. California*, 314 US 252 (1941); *Pennkamp v. Florida*, 328 U.S. 331 (1946)

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განიმარტოს ის, თუ რას მოიაზრებს სასამართლო ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებაში. ფართო გაგებით, ტერმინი მოიცავს როგორც, “სახელმწიფო პროკურორებს [რომლებიც] სამოქალაქო მოხელეები არიან და მათი დავალებაა წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაში,”⁵⁹ ასევე, კლერკებსა და მოსამართლეებს.⁶⁰

პრაქტიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლო ხელისუფლების პასუხის გაცემის უნარის არქონით ხსნიდა, კერძოდ, Prager and Oberschick-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა: “მხედველობაში უნდა მივიღოთ მართლმსაჯულების განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში. როგორც სამართლიანობის გარანტორმა, ფუნდამენტურმა ღირებულებამ სამართლიან სახელმწიფოში, უნდა ისარგებლოს ხალხის ნდობით, თუ მას სურს იყოს წარმატებული საკუთარი ვალდებულებების შესრულებაში. ამ ყველაფერმა შესაძლოა გაამართლოს დამაჯერებლობის დაცვა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დესტრუქციული თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კრიტიკის ობიექტი მოსამართლეები, თავიანთი დისკრეციის ფარგლებში, მოკლებულნი არიან საპასუხო განცხადებების გაკეთების შესაძლებლობას.”⁶¹

ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული დასაშვები კრიტიკის იერარქიაზე და მასში მოსამართლეთა ადგილზე სასამართლომ ისაუბრა Morice-ისა და Peruzzi-ს საქმეებში. მოსამართლეები, “თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესაძლოა დაექვემდებარონ უფრო ფართო დასაშვებ კრიტიკას, ვიდრე რიგითი მოქალაქეები.”⁶² “თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ საჯარო მოხელეები, რომლებიც წინასწარი შეგნებით ასაჯაროებენ ყოველ თავიანთ სიტყვასა და მოქმედებას მკაცრი დაკვირვებისათვის, მას იმავე მოცულობით აკეთებენ, როგორც პოლიტიკოსები და შესაბამისად, ისეთივე მოპყრობას უნდა დაექვემდებარონ, როგორც ეს უკანასკნელნი, როდესაც საქმე ეხება მათი ქმედებების კრიტიკას.”⁶³

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც ევროპული სასამართლო გამოყოფს, მიემართება კრიტიკის ადრესატსა და მიზანს. Barfod-ის საქმეში, სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება სწორედ სასამართლოს დასაბუთებასა და პერსონალურ შეტევას შორის ზღვრის გავლებაზე დააფუძნა: “სადავო განცადება არ ყოფილა დასაბუთების კრიტიკა, არამედ ეს იყო ცილისმწამებლური ბრალდება მოსამართლეების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოების თვალში მათ დამცირებას და გამოთქმული იყო ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.”⁶⁴ შედარებით უფრო მკაფიო ზღვარი გაავლო სასამართლომ კრიტიკასა და პერსონალურ თავდასხმას შორის Skalka-ს საქმეში: “მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის. თუ რაიმე ფორმით გამოხატვის ერთადერთი მიზანი სასამართლოს, ან ამ სასამართლოს მოსამართლის შეურაცხყოფაა, მაშინ სათანადო სანქცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დარღვევა.”⁶⁵

გადაწყვეტილების დასაბუთებისა და კონკრეტული მოსამართლის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებების შეფასების დროს სასამართლოს მიერ განსხვავებულ მიდგომაზე

59 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Lesnik v. Slovakia პარ. 54.

60 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1986 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Prince v. the United Kingdom

61 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Prager and Oberschlick v. Austria, პარ. 67

62 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 131.

63 ეხება.”(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Peruzzi v. Italy, პარ. 52.

64 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Barfod v. Denmark

65 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Skalka v. Poland, პარ. 34

მეტყველებს Peruzzi-ს საქმეც. სასამართლოს შეფასებით, “უსამართლო და მიკერძოებული გადაწყვეტილებების” მიღებაში მოსამართლის დადანაშაულება არ სცდებოდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ამგვარი განცხადება უფრო მეტად შეფასებითი მსჯელობაა, რომელსაც გააჩნია გარკვეული საფუძველი, ვიდრე ფაქტის მტკიცება და შესაბამისად, ამგვარი გამოხატვის ჭეშმარიტების მტკიცების ვალდებულებაც არ არსებობს მაშინ როდესაც იმის თქმა, რომ მოსამართლე “მიკერძოებული” იყო და “განზრახ დაუშვა შეცდომები, ბოროტი განზრახვით, სერიოზული გადაცდომით ან უყურადღებობით,” კონვენციის მე-10 მუხლით დაცული სფეროს მიღმა მიიჩნია.⁶⁶ კიდევ უფრო ფართო ჩამონათვალი, იმისა თუ რა ჩაითვლება პერსონალურ შეურაცხყოფად, შემოგვთავაზა სასამართლომ Radobuljac-ის საქმეში, რომლის მიხედვითაც, განმცხადებლის კრიტიკულ შეფასებებს, რომელიც მიემართებოდა კონკრეტულად მისი კლიენტის საქმეში მოსამართლის ქცევას და დისტანცირებული იყო მოსამართლის ზოგადი პროფესიონალიზმის შეფასებისაგან, არაფერი ჰქონდა საერთო ისეთ კომენტარებთან, რომელიც სასამართლომ ან ყოფილმა კომისიამ მიიჩნია პიროვნულ შეურაცხყოფად, ასეთებია მაგალითად: მოსამართლის დადანაშაულება განზრახ რეალობის დამახინჯებაში, უყოყმანოდ ტყუილის თქმაში ან მცდარი ანგარიშის მომზადებაში, რომელიც სიცრუესა და განზრახ არასწორ ინფორმაციას შეიცავს. ასევე მოსამართლეზე პიროვნულ თავდასხმად ითვლება და სცდება კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების საზღვრებს, საქმის განმხილველი მოსამართლის პროფესიული კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება, იგივე შეიძლება ითქვას ისეთი შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენებაზე, როგორცაა “უპასუხისმგებლო კლოუნები”, “შეზღუდული ინდივიდები” და “წარმოუდგენელი კრეტინები.”⁶⁷

ხულიგნობა პირთუალურ საქარო სივრცეში

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნათია მერაბიშვილმა, 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით (დადგენილებით) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ბუბა ნაჭყებია, ამავე უნივერსიტეტის ლექტორის შეურაცხყოფისთვის წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე მუხლი) ჩამდენად ცნო და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. საქმე ეხება, სტუდენტის მიერ სოციალურ ქსელში Facebook არსებულ დახურულ ჯგუფში (სადაც უნივერსიტეტის 3000-მდე ყოფილი თუ მოქმედი სტუდენტია განეკრებულ) ლექტორისადმი შეურაცხმყოფელ გამოხატვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ნათია მერაბიშვილმა, მართებულად მიიჩნია, რომ სოციალური ქსელი არის საქარო სივრცე. თუმცა, საყურადღებოა მისი განმარტებები სოციალურ ქსელში საზოგადოებაში მიღებული ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის ვალდებულებასა და წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევაზე.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი სამართლებრივი განმარტებები რელევანტურია წვრილმანი ხულიგნობის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს არა ონლაინ, არამედ რეალურ საქარო სივრცეში. თუმცა, ასევე საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, ლაშა თავართქილაძის, 2019 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება ამავე საქმეზე. ლაშა თავართქილაძემ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და შეწყვიტა ადმინისტრაციული საქმის წარმოება ბუბა ნაჭყებიას მიმართ. თავართქილაძემ ყურადღება გაამხვილა ასკ-ის 166-ე მუხლის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ნორმის განჭვრეტადობის ხარისხზე და განმარტა შემდეგი:

66 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Peruzzis v. Italy, პარ. 57-59.

67 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Radobuljac v. Croatia.

„კანონი ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიცხადით, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ, საჭიროების შემთხვევაში გონივრული დობით განჭვრიტონ კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი. არ არის აუცილებელი, რომ ეს შედეგი აბსოლუტური სიზუსტით იყოს წინასწარგანჭვრეტადი, თუცა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტია, აუცილებლობას იძენს განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც განამტკიცებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის გარანტიებს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სამართლის ნორმა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, პირმა განსაზღვროს თუ რა შემთხვევაში რა სამართლებრივი შედეგი დადგება, რასაც განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ვერ აკმაყოფილებს. იმ პირობებში, როდესაც უხამსობასთან მიმართებით საკანონმდებლო თვალსაზრისით საერთოდ არ არის დადგენილი შინაარსობრივი რეგულირება, არ შეიძლება პასუხისგებაში მიცემული სუბიექტის გამოხატვის თავისუფლება დაექვემდებაროს შეზღუდვას ზემოაღნიშნული მუხლით დაცულ სიკეთესთან მიმართებით, როდესაც თავად პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა არ ითვალისწინებს სოციალური ქსელის მეშვეობით კრიტიკული განცხადების ან უხამსი გამონათქვამის გამოქვეყნებისთვის პასუხისმგებლობას.“

უნდა აღინიშნოს, რომ ასკ-ის 166 მუხლის განჭვრეტადობის პრობლემურობა არა მხოლოდ სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი გამოხატვის, არამედ რეალურ სივრცეში წვრილმანი ხულიგნობის რეგულირების კონტექსტშიც დგას. თუმცა, მოსამართლის აღნიშნული მსჯელობა საკმაოდ პროგრესული და მნიშვნელოვანია რამდენიმე სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს განმარტებით ასკ-ის 166-ე მუხლი არეგულირებს არა უშუალოდ უხამსობას, არამედ მას მსგავსი გამოხატვით საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდისთვის საფრთხის თავიდან არიდების დაცვის მიზანი აქვს. ამასთანავე, საინტერესოა მოსამართლის მიერ საერთო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში ნორმის ფაქტიურად კონსტიტუციურობაზე მსჯელობის საკითხი. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ასკ-ის 166-ე მუხლით ონლაინ სივრცეში შეურაცხმყოფელი გამოხატვის რეგულირების პრეცედენტული შინაარსი კონსტიტუციური კონტროლის კუთხით შემოწმებას საჭიროებს.

GDI-მ მოამზადა კონსტიტუციური სარჩელი ასკ-ის 166-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რაც ონლაინ სივრცეში შეურაცხმყოფელ გამოხატვას წვრილმან ხულიგნობად მოიაზრებს. მიგვაჩნია, რომ ნორმა ერთი მხრივ არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის კონსტიტუციურ ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ არღვევს კონსტიტუციითვე გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეურაცხმყოფელი გამოხატვის რეგულირების სტანდარტი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც ფაქტიურად იმეორებს გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ სტანდარტებს, გამოხატვაზე შინაარსობრივ რეგულირებას პირისპირ შეურაცხყოფის შემთხვევაში მიიჩნევს გამართლებულად.⁶⁸ რაც შეეხება, ასკ-ის 166-ე მუხლის რეგულირების ფარგლებს, უხამსობა, შეურაცხყოფა იმიტომ არის რეგულირებული, რომ იცავს არა სხვათა უფლებებს - პატივს, ღირსებას - არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი დაცვის ობიექტი საზოგადოებრივი წესრიგია. ხოლო, ღია სივრცეში შეურაცხმყოფელი გამოხატვა, სწორედ ამ წესრიგის დარღვევის მყისიერ საფრთხეს ქმნის, მათ შორის, შეურაცხყოფით გამოწვეული კონფლიქტის მოტივით. ამასთან, მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს ლოგიკა დევს საქართველოს კონსტიტუციაში, გამოხატვის თავისუფლების დაცვის და მისი შეზღუდვის კუთხით. რაც, შეუძლებელია რეალურად ხორციელდებოდეს ონლაინ სივრცეში შეურაცხმყოფელი გამოხატვის დროს.

68 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N220, სსმ, 19, 15/07/2004

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

„აიისას“ საქმე

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 04 მაისის, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ამავე წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, შესაბამისად, მოსამართლეების ლაშა თავართქილაძისა და ლევან მურუსიძის ავტორობით, მიიჩნიეს, რომ პრეზერვატივების მწარმოებელ ქართულ კომპანია - „აიისას“ მიერ, პრეზერვატივის შეფუთვაზე კონკრეტული გამოსახულებების (თამარ მეფის გამოსახულება, წარწერით „სამეფო კარი თამარში“, ტექსტის - „ძლევაი საკვირველი“, მარცხენა ხელის მტევნის (სასამართლომ მიიჩნია რომ ეს არის „მაკურთხეველი მარჯვენა“, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები ჭვარს გამოხატავენ) და პანდას ფოტო, ტექსტით - „ჩამოვკრავდი მარა ნათლისღებაა“) დატანა, არის არაეთიკური (რეკლამის გავრცელების წესის დარღვევა/არაეთიკური რეკლამის გავრცელება) და მსგავსმა გამოხატვამ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის რელიგიური გრძნობები და ეროვნული ღირსება შელახა. ამის გამო, ანი გაჩეჩილაძე დაჯარიმდა 500 ლარით, ხოლო დამატებითი ღონისძიების სახით აეკრძალა ოთხივე ვიზუალის (გამოსახულება და წარწერა) გავრცელება/განთავსება და მათი საქართველოს სასაქონლო ბაზრიდან ამოღება დაევალა.

წინამდებარე საქმეზე, სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბერს მივმართეთ. წინამდებარე საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იქნება, არა მხოლოდ ზოგადად გამოხატვის თავისუფლების სტანდარტის კუთხით, არამედ, კონკრეტულად სოციალური და კომერციული შინაარსის მატარებელი გამოხატვის დაცვის სტანდარტის განსაზღვრის მიმართულებითაც.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციისაგან, ევროპული კონვენციის მე-10(2) მუხლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად მორალს მიუთითებს. თუმცა ხსენებული საფუძვლის არსებობა *a priori* არ ამართლებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებისას, ორივე შემთხვევაში, სასამართლო ე.წ. სამწვეროვან ტესტს იყენებს. თუმცა, ევროპული სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს გამოხატვის მიზანზე. თუკი პირის ერთადერთი მიზანი ცალკეული ინდივიდებზე ან ინდივიდთა ჯგუფზე თავდასხმა, მათ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა და საჯარო დებატში არავითარი კონტრიბუცია არ შეაქვს, ამგვარი გამოხატვა ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული დაცვით, როგორც ეს E.S-ს საქმეში დაადგინა.

გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური გრძნობების ურთიერთმიმართებაზე საუბრისას სასამართლო, თავის ხანგრძლივი პრაქტიკის საფუძველზე, აღნიშნავს, რომ პლურალისტურ, ტოლერანტულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში პირები სარგებლობენ რელიგიის თავისუფლებითა და მისი მშვიდობიანი აღმსარებლობის უფლებით, თუმცა ამის საპირწონედ რელიგიურ ადამიანებს არ შეიძლება ჰქონდეთ მოლოდინი, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა გაიზიარებს მათ პოზიციას, მათ უნდა ესმოდეთ, რომ შესაძლოა გახდნენ კრიტიკის საგანი, მათ შორის აქვთ თმენის ვალდებულება ისეთი პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც მათ რწმენაში განმტკიცებული დოქტრინების საპირისპირო თეორიას ავრცელებს.

გამოხატვის თავისუფლების და რელიგიური გრძნობების დაცვას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას შეეხებოდა *Sekmadienis v. Lithuania*, სადაც სასამართლო კიდევ ერთხელ გაიმეორა რომ საჭირო არ იყო იმ ფაქტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება დარჩენ თუ არა კონკრეტული ადამიანები მართლაც შეურაცხყოფილნი, რადგან გამოხატვის თავისუფლება იცავს ისეთი იდეების გავრცელებასაც, რომელიც მიუღებელია საზოგადოებისათვის, შეურაცხმყოფელია, შოკისმომგვრელია მათთვის.

ხსენებული საქმეებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა *Sekmadienis*-ის შემთხვევა, სადაც სასამართლომ განმცხადებლის გამოხატვა კომერციული ხასიათის მატარებლად მიიჩნია. “აიისას” საქმის მსგავსად, ხსენებულ საქმეშიც აუცილებელი იყო გამოხატვის თავისუფლებისა და საჯარო მორალის, რელიგიური გრძნობების დაცვას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებული იყვნენ გაეკეთებინათ მკაფიო განმარტებები იმის შესახებ, თუ რომელი მორალური ნორმები დაირღვა, რატომ იყო კონკრეტული რეკლამები შეურაცხმყოფელი. სასამართლოს შეფასებით, ისინი იყენებდნენ ბუნდოვან ტერმინებს და საბოლოო ჯამში დასაბუთებას ჰქონდა მხოლოდ დეკლარაციული და არა ანალიტიკური ხასიათი.^[6] სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუხედავად რეკლამის წმინდა კომერციული ხასიათისა, ის ავტომატურად არ ნიშნავს რელიგიის კრიტიკასა და შეურაცხყოფას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც რომ, გარდა კომერციული დატვირთვისა, “აიისას” შეფუთვაზე გამოყენებული ვიზუალური ნაწილი რიგ შემთხვევაში შეეხებოდა საზოგადოებაში ტაბუდადებულ, საკრალიზებულ საკითხებს და მიზანად ისახავდა მათ ირგვლივ მსჯელობის განვითარების ხელშეწყობას.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ლიეტუვას სახელმწიფოს არგუმენტაცია და ტერმინოლოგია თითქმის იდენტურია განსახილველი საქმისა. ევროპულმა სასამართლომ ბუნდოვნად ჩათვალა სახელმწიფოს არგუმენტაცია, რომელიც მიუთითებდა, რომ რელიგიური სიმბოლოების გამოყენება „ენინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ეთიკურ ნორმებს.“ მსგავსად ზემოაღნიშნული საქმისა, განსახილველ საქმეშიც სასამართლო ეყრდნობა კანონის იმ ჩანაწერს, რომელიც მითითებას აკეთებს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სადავოდ გამხდარი სარეკლამო გამოსახულება მიზნად არ ისახავდა კონკრეტული რელიგიური ჯგუფის შეხედულებების კრიტიკას, სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

ევროპული სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე კომუნიკაცია 2019 წლის 22 იანვარს დაიწყო. ამ დროისთვის საქმე მეგობრული მორიგებით დასრულების შესაძლებლობის ეტაპზეა, რომლის მიუღწევლობის შემთხვევაშიც, სასამართლომ მხარეებს პასუხების გასაცემად შემდეგი კითხვები გადმოგვიგზავნა:

- *ჰქონდა თუ არა განმცხადებლის კონვენციის მე-10 (1) მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას ადგილი?*
- *ასეთის არსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა გამართლებული ამგვარი ჩარევა (იხ. სხვა საქმეებთან ერთად *Sekmadienis Ltd. v. Lithuania*, no. 69317/14, პარ. 70-74, 30 იანვარი 2018)?*

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოში

მანიფესტანტთა ადმინისტრაციული დაკავების მახინჯი პრაქტიკა და მსგავსი საქმეების სასამართლოში განხილვის პრაქტიკული ხარვეზები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის მიერ 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უკვე წლებია ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. კოდექსის ხარვეზებსა და მისი გამოყენებით ადამიანის უფლებების გაუმართლებლად შეზღუდვის საფრთხეებზე კონსენსუსი დიდი ხნის მიღწეულია, როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, შეკრება-მანიფესტაციების დროს ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი საზოგადოებისათვის საკუთარი უფლებით სრულყოფილად სარგებლობაში ხელშეშლა, სწორედ ამ მოძველებული და ადამიანის უფლებების თანამედროვე სტანდარტებისათვის შეუფერებელი კანონის საფუძველზე ხდება.

მართალია, მოქალაქეთა დაკავების დროს სამართალდამცავები ფორმალურად უთითებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის ან/და სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოტივზე, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში სამოქალაქო აქტივისტთა დაკავების ტენდენციამ, ნათლად აჩვენა, რომ კანონი არა მასში გაცხადებული მიზნების უზრუნველსაყოფად, არამედ კრიტიკული აზრის ჩასახშობად და მის შესაკავებლად გამოიყენება. ამგვარი მიდგომა ასევე, მსუსხავი ეფექტის მატარებელი მომავალში იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მართალია გააჩნიათ პროტესტის განცდა, თუმცა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით თავს იკავებენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან. შესაბამისად, სამართალდარღვევათა კოდექსის პრაქტიკული გამოყენება მიზნად ისახავს გამოხატვის თავისუფლების შინაარსის შეზღუდვას.

2018 წლის განმავლობაში GDI ადმინისტრაციული წესით დაკავებული 11 მანიფესტანტის ინტერესებს იცავდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

18 ნოემბერის აქცია

2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შემდეგ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აქტიურად იმართებოდა საპროტესტო მსვლელობები და მანიფესტაციები, როგორც ხელისუფლების მომხრეების, ასევე კრიტიკულად განწყობილი პირების მიერ. აღნიშნული პროცესების მიმართ გამოიკვეთა სამართალდამცავთა არათანმიმდევრული, მთელ რიგ შემთხვევებში შერჩევითი მიდგომა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული აქციის მონაწილეთა დაკავება და მათ წინააღმდეგ თავისუფლების აღმკვეთი სასჯელის გამოყენება. აქციის დროს დაკავებული 37-ივე პირის საქმე ერთმა მოსამართლემ - ვალერიანე ფილიშვილმა განიხილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ გამართულ პროცესში, სამი პირის: გიორგი მაქარაშვილის, ირაკლი კაჭარავასა და ზურაბ ბერძენიშვილის ინტერესებს წარმოვადგენდით. სამივე შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო ამტკიცებდა, რომ ზემოაღნიშნული პირები იგინებოდნენ უმისამართოდ, რითაც არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და არ ემორჩილებოდნენ პოლიციის მრავალჯერად გაფრთხილებას, რის გამოც ისინი 2019 წლის 19

ნომბერს დააკავეს და მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები იდენტური - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის.

სასამართლო პროცესის განმავლობაში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვნად უარყოფითი ტენდენცია, კერძოდ:

მოსამართლემ არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების წარმომადგენელთა შუამდგომლობა - საკუთარი პოზიციის გასამყარებლად საჭირო მტკიცებულებების მოძიებისათვის გონივრული ვადის გამოყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსამართლემ გადაწყვიტა სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებული ყველა პირის საქმე ერთ დღეში განეხილა, რის გამო აუცილებელი გახდა საქმეების გაერთიანება, თუმცა ამის მიუხედავად, ვერ მოხერხდა სასამართლოს წინაშე ყველა პირის დროულად, კანონით განსაზღვრულ ვადაში წარდგენა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იხელმძღვანელა მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენთა მიერ მიცემული იდენტური ჩვენებებით და ყურადღება არ გაამახვილა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე, შეკრების, როგორც გამოხატვის თავისუფლების *lex specialis*, უფლებით სარგებლობის მნიშვნელობასა და შინაარსზე, ასევე იმ საფრთხეებზე, რომელიც გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას ახლავს თან.

2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილებებით, მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილმა მიიჩნია, რომ ირაკლი კაჭარავას, გიორგი მაქარაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის და სხვა პირთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, თუმცა სახეზე იყო პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნის მიმართ დაუმორჩილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩადენილი სამართალდარღვევის პროპორციულად მიიჩნია თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით. კერძოდ, გიორგი მაქარაშვილის - 12 დღით, ირაკლი კაჭარავას - 4 დღით, ხოლო ზურაბ ბერძენიშვილს - 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

ამავე დღეს მიღებული დადგენილებებით, მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილმა გაასწორა მის მიერ მიღებულ ზემოხსენებულ დადგენილებებში ადმინისტრაციული პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით დაშვებული უსწორობები. კერძოდ, ზურაბ ბერძენიშვილის, ირაკლი კაჭარავასა და გიორგი მაქარაშვილის პატიმრობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო დაკავების ოქმებში მითითებული დროიდან და ჩათვლოდათ ორი სრული დღის ვადაში, ერთი დღის ნაცვლად.

12 დეკემბრის აქცია

2019 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე დააკავებული სამი პირის ალიკა კუპრავას, დავით კაკაურიძისა და ლევან გახელაძის ინტერესებს ვიცავდით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქმეში წარმოდგენილი იყო ორი, შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსი მოხსენებითი ბარათი (პატაკი), რომლის მიხედვითაც, დავით კაკაურიძე და ალიკა კუპრავა პარლამენტის

მიმდებარე ტერიტორიაზე უხამსი და უნმარუნი სიტყვების გამოყენებით არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, იგინებოდნენ უმისამართოდ, ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შესასვლელის ბლოკირებას და არ ემორჩილებოდნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას.

ამ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ნათია მერაბიშვილმა, დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, დაცვის პოზიციის მოსამზადებლად და მტკიცებულებების წარსადგენად, გონივრული დროის მიცემის თაობაზე და სხდომა ერთი დღით გადადო. თუმცა, საბოლოოდ, 18 ნოემბრის აქციაზე დაკავებული პირების საქმისგან განსხვავებით ადმინისტრაციული სანქციის სახით ალიკა კუპრავასა და დავით კაკაურიძის მიმართ გამოყენებული იქნა, შესაბამისად, 2 000 ლარიანი და 1 500 ლარიანი ფულადი ჯარიმა, ხოლო ლევან გახელაძე გამართლდა და მის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არ დადასტურების გამო.

31 დეკემბრის დაკავებები

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული 6 პირის, ნოდარ რუხაძის, ზურაბ ბერძენიშვილის, ზურაბ მჟავანაძის, ლევან ბურდულის, გიორგი მუმლაძისა და ბექა კოკაიას ინტერესებს ვიცავდით. პოლიცია მათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას ედავებოდა.

მსგავსად სხვა წინა შემთხვევებისა, ამ შემთხვევაშიც ერთმანეთის მსგავსია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ 30-31 დეკემბერს განვითარებული მოვლენები არაერთი მედიასაშუალების პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა და ნათლად ჩანდა, რომ დაკავებულთა მხრიდან უმისამართო გინებასა და უნმარუნი სიტყვების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, ოქმის შემდგენები დაბეჭითებით ამტკიცებდნენ, რომ სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო გახდა აუცილებელი მათი დაკავება.

საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ სასამართლო პროცესზე თავად პოლიციის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ ვიდეო მასალაში არ ჩანს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მეტიც, ნოდარ რუხაძის საქმეში წარმოდგენილი ვიდეო მასალა მისი დაკავების შემდეგ არის გადაღებული და შესაბამისად, არც მისი დაკავების და არც მისი მხრიდან რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ ჩანს.

2020 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ივანე აღნიაშვილმა, გიორგი მუმლაძე, ბექა კოკაია, ლაშა ბურდული და ზურაბ ბერძენიშვილი წარდგინო „ბრალდებაში“ გაამართლა და მათ მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა. ხოლო, ზურაბ მჟავანაძე სამართალდამღვევად ცნო მხოლოდ წვრილმან ხულიგნობაში და სახდელის სახით სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა.

2020 წლის 23 იანვარს კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ნათია მერაბიშვილმა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი, ნოდარ რუხაძე გაამართლა სრულად და მის მიმართ ასევე შეწყვიტა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

ასკ-ს 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალ-დარღვევის სასამართლო განხილვის სტანდარტები და ხარვეზები

პოლიციელის ჩვენების პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი

მსგავს საქმეებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი 166-ე და 173-ე მუხლებით ოქმის შემდეგ ორგანოსა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. ამასთანავე, როდესაც საქმე ეხება სამართალდარღვევების კანონიერების შემოწმებას სასარჩელო დავის ფარგლებში (საჯარიმო ქვიტორის (ინდაქტის) კანონიერების შემოწმება სასარჩელო წესით) გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დათქმები, მათ შორის, მტკიცების ტვირთის გადანაწილების თაობაზე. თუმცა, ის, რომ სამართალდარღვევათა კოდექსი მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს არ ითვალისწინებს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ იმ საქმეებში სადაც სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდეგ სასამართლო პრე კონტროლს ახორციელებს, არ იყენებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების ინსტიტუტს. თუმცა, ჩნდება კითხვა. მტკიცების ტვირთის გადანაწილების რა სტანდარტსა და რომელ საკანონმდებლო აქტზე, ან სამართლებრივ ინსტიტუტზე დაყრდნობით ანაწილებს სასამართლო მტკიცების ტვირთს. საიდან გაჩნდა მოსარჩელის მიმართ გამოტანილ დადგენილებაში ის ჩანაწერები, რომელიც პოლიციელის ჩვენებას უფრო მეტ სანდოობასა და უტყუარობის პრეზუმფციას ანიჭებს, ხოლო პასუხისგებაში მიცემულ პირს ავალდებულოს ამტკიცოს საწინააღმდეგო. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოსარჩელის მიმართ გამოტანილ დადგენილებაში პირდაპირ არ არის მითითება მტკიცების ტვირთის გადანაწილების სამართლებრივ საფუძვლებზე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი სწორედ სზაკ-ის მე-5.1 მუხლის მიხედვით წყდება. სწორედ აღნიშნული ნორმის განმარტებით, სასამართლო ერთი მხრივ ადგენს კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმფციას, ხოლო, მეორე მხრივ საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთს, შეჭიბრებითობის საწყისებზე დაყრდნობით, აკისრებს მოწინააღმდეგეს (ადმ. პასუხისგებაში მიცემულ პირს).

საყურადღებოა თუ, პრაქტიკული თვალსაზრისით როგორ ვლინდება სადავო ნორმის მსგავსი განმარტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების მიმართ გადანაწილების გამოტანისას.

ზემოთ აღნიშნულ დადგენილებებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოსამართლე, ვალერიანე ფილიშვილი, სწორედ სადავო ნორმის მსგავს განმარტებას უკავშირებს და ავითარებს შემდეგ მსჯელობას:

„სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამართალდარღვევის აღმკვეთი პირების მიერ დაფიქსირებული მონაცემები, რამეთუ ისინი განსაკუთრებული ინფორმაციულობით გამოირჩევა და წარმოადგენს საქმის მტკიცებულების უმნიშვნელოვანეს წყაროს. თვითმხილველთა ამ ჯგუფს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებთ, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, თავისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმხილველ პირთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ

მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით, ასეთი თვითმხილველის აღქმის მაღალი ხარისხი, ჩვენების სისრულე, უკავშირდება იმას, რომ მუშაკმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის ნიშნები. ფაქტების და გარემოებების წრე, რომლის შესახებაც იძლევიან ჩვენებას სამართალდარღვევის აღმკვეთი პირები, განპირობებულია საქმეზე მტკიცების საგნით, უკანასკნელი თავის მხრივ, უმთავრესად განპირობებულია სამართალდარღვევის შემადგენლობით. სამართალდარღვევის აღმკვეთი პირების მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს ყოველთვის აქვს უშუალო კავშირი საქმესთან, შეიცავს სასამართლოს მიერ შესაფასებელი ფაქტების შესახებ ინფორმაციას და პასუხობს მტკიცებულების დასაშვებობის მოთხოვნას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურის ახსნა-განმარტება შეიცავს მაღალი სანდოობის ნიშანს, რასაც მნიშვნელობა აქვს მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც განაპირობებს კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმირებას, სანააღმდეგოს მტკიცების ტვირთი, შეჯიბრებითობის საწყისებზე დაყრდნობით, მონააღმდეგე მხარეს (ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს) ეკისრება“

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევი პირების ახსნა-განმარტებას, იგი სხვა მტკიცებულებებით გამყარების გარეშე ვერ მიიჩნევა საქმის გარემოებების დასადგენად უტყუარ მტკიცებულებად. იურისდიქციული საქმიანობის ფარგლებში ქცევის ნეგატიური შეფასება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რის გამოც იმ პირთა ახსნა-განმარტება, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, უმეტესად არ ახასიათებს მაღალი ხარისხის სარწმუნოება, ვინაიდან მათი, როგორც საქმის შედეგში უშუალოდ დაინტერესებულ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების და სხვა მიზნებით. შესაბამისად, ასეთი პირთა ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი - ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება - განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართლის-თვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, ეს არის კანონიერების პრინციპი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აკადემიური კომენტარების მიხედვით კანონიერების პრინციპი ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას, ხოლო მეორე მხრივ, მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აქვთ უფლება, მიმართონ ისეთ ღონისძიებას, რომელიც კანონსანააღმდეგო იქნება. კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა იწვევს მმართველობითი ღონისძიების მართლწინააღმდეგობას.⁶⁹

მმართველობითი ფუნქციის თვალსაზრისით, კანონიერების პრინციპი მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას.⁷⁰

69 პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, გვ. 29.

70 კ. ურიადმყოფელი, კანონიერი ნდობის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ტერმინები, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, გვ. 69

სადავო ნორმით განმტკიცებული კანონიერების პრინციპი არის ზოგადი პრინციპი ადმინისტრაციული სამართლისთვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ადმინისტრაციული სამართლის სხვა მიმართულებები მოიაზრებენ თუ არა კანონიერების პრინციპს უშუალოდ, ის მაინც მოქმედებს ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპის სახით. ასეთი მიმართება აქვს კანონიერების პრინციპს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალთანაც. სასკ-ის მეორე მუხლის თანახმად „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან“. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისას სასამართლოში მოქმედებს, როგორც თავად კოდექსი, ასევე, სხვა რელევანტული კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები.

გარდა თეორიული მსჯელობისა, სასამართლოს პრაქტიკაც ნათლად აჩვენებს, რომ სასამართლოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებული პრინციპებით. თუმცა, რამდენად მართებულად და რელევანტურად, მათ შორის, კონსტიტუციასთან რამდენად შესაბამისად იყენებს სასამართლო ამ პრინციპებს სამართალდარღვევათა საქმეებში ეს არის სწორედ წინამდებარე სარჩელის ძირითადი არსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნულ დადგენილებებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ვალერიანე ფილიშვილი, იყენებს სადავო ნორმას და მას შემდეგი სახის განმარტებას აძლევს:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც განაპირობებს კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმირებას, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი, შეჯიბრებითობის საწყისებზე დაყრდნობით, მოწინააღმდეგე მხარეს (ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს) ეკისრება“

სასამართლოს მიერ სადავო ნორმაში განმტკიცებული კანონიერების პრინციპის განმარტება სცდება ამავე პრინციპის რეალურ არსს და კიდევ უფრო ფართო შინაარს იძენს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ხარვეზთან ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სადავო ნორმისთვის სასამართლო პრაქტიკით სწორედ იმ შინაარსის დამკვიდრებას, რაც ზემოთ არის წარმოდგენილი. სასამართლომ ნორმას შესძინა შინაარსი რაც უკვე წლებია ფართოდ გამოიყენება საერთო სასამართლოების მიერ და რაც უკვე წლებია უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლოზე. სასამართლოს სადავო ნორმის განმარტებაში ორი საკითხი უნდა გამოიყოს:

- სასამართლოს განმარტებით, ის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, განაპირობებს კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმირებას;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმირება, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთს, შეჯიბრებითობის საწყისებზე დაყრდნობით, მოწინააღმდეგე მხარეს აკისრებს;

ერთის მხრივ, საერთო სასამართლოები ამბობენ, რომ სამართალდარღვევის აღმკვეთი პირები (პოლიციელების) მოქმედებენ რა კანონითა და მართლშეგნებით, ასრულებენ პროფესიულ ვალდებულებას, მათ არ ამოძრავებთ სხვა მიზანი, გარდა მართლწესრიგის დაცვისა. ამიტომ, საერთო სასამართლოებისთვის ასეთ პირთა მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია, ახსნა-განმარტება, ჩვენება სარგებლობის მაღალი სანდოობით და სასამართლოსთვის წინდაწინ აკმაყოფილებს დასაშვებობისა და უტყუარობის მოთხოვნებს. ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა განმარტება/ჩვენება სასამართლოსთვის საქმის განხილვის დაწყებისთანავე არის საეჭვო, თუ ის არ გამყარდა სხვა მტკიცებულებებით, ვერ მიიჩნევა საქმის გარემოებების დასადგენად უტყუარ მტკიცებულებად.

ნორმის ამ შინაარსით გამოყენება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს და მოწინააღმდეგე მხარეს საქმის სასამართლოში განხილვის დაწყების პირველივე ეტაპიდან აყენებს უთანასწორო მდგომარეობაში და უხეშად არღვევს შეჭიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს, მტკიცების ტვირთის/ვალდებულების ბრალმდებელზე დაკისრებისა და ყოველგვარი ეჭვის, ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის კონსტიტუციით გარანტირებულ პრინციპებს.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია ნორმის ასეთი შინაარსით წარმოშობისა და მისი გამოყენების ისტორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-626-596(კ-07)

საქმის დეტალების განხილვამდე, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ორ მექანიზმს ითვალისწინებს. სასკ-ის 239-ე მუხლში ჩამოთვლილია სამართალდარღვევები რომლის ჩადენისა და გამოვლენის შემთხვევაშიც შესაბამისი ორგანო ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. ამავე კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. შესაბამისად, 239-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში სამართალდარღვევის ოქმის შედგენა არ იწვევს მყისიერ სამართლებრივ შედეგებს, არამედ, ოქმი საჭიროებს შემდგომ სასამართლოში დადასტურებას/სასამართლო კონტროლს.

ამასთანავე, სასკ-ის 242-ე მუხლი ჩამოთვლის იმ სამართალდარღვევებს, რომელთა შემთხვევაშიც ცალკე სამართალდარღვევის ოქმი არ დგება, არამედ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც თავად არის სამართალდარღვევის ოქმი და მოცემისთანავე შედის ძალაში. აღნიშნული საჯარიმო ქვითრები არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მასზე სასამართლო კონტროლი ხორციელდება ადმინისტრაციული სასარჩელო დავის გზით.

სწორედ ამ მეორე შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2007 წლის 25 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში. უზენაესმა სასამართლომ განიხილა სასარჩელო დავა, რომელიც ეხებოდა შუქნიშანზე გავლის წესის დარღვევისთვის გამოწერილი ჯარიმის ქვითრის კანონიერებას. კასატორი, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი, ამტკიცებდა, რომ ქვედა ინსტანციებმა არასწორად გადაანაწილეს მტკიცების ტვირთი, რადგან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის მტკიცების ტვირთი დააკისრეს არა

ადმინისტრაციულ ორგანოს, პოლიციას, არამედ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს (მოსარჩელეს). კასატორი ასევე ამტკიცებდა, რომ საერთო სასამართლოების მსგავსი მიდგომა წარმოშობდა პოლიციელთა მხრიდან მაღალი თვითნებობის რისკს, რადგან მათ სამართალდარღვევის არსებობის მიუხედავად, შეეძლოთ ნებისმიერი პირისთვის გამოეწერათ საჯარიმო ქვითარი, ხოლო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები ვერასდროს შეეძლებდნენ საწინააღმდეგოს დამტკიცებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ანალიზი დაგვეხმარება სწორად განვსაზღვროთ, თუ რას გულისხმობენ საერთო სასამართლოები კეთილსინდისიერი მართებლობის პრეზუმფციის ფარგლებში შეჯიბრებითობის საწყისებზე დაყრდნობით მტკიცების ტვირთის ადმ. პასუხისგებაში მიცემულ პირზე დაკისრებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის ზოგად საწყისებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით *„მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები“*. ხოლო, იმავე მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის სპეციალურ შემთხვევას და უთითებს, რომ *„თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.“*

ზემოთ აღნიშნულ საქმეში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ადმ. სამართალდარღვევის შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (პატრულის ჯარიმის) ბათილად ცნობის საკითხზე მტკიცების ტვირთი სასამართლომ არა მოპასუხეს (ადმინისტრაციულ ორგანოს), არამედ, თავად მას, ადმ. პასუხისგებაში მიცემულ პირს (მოსარჩელეს) დააკისრა და მასზე გაავრცელა მტკიცების ტვირთის ზოგადი სტანდარტი (საპროცესო კოდექსის მე-17.1 მუხლი). შესაბამისად, სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ემტკიცებინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არ არსებობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მოსამართლე ნათია ნკეპლაძის თავმჯდომარეობით (მომხსენებელი მოსამართლე) მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციებმა მართებულად გადაანაწილეს მტკიცების ტვირთი ადმ. პასუხისგებაში მიცემულ პირზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ არსებითად განიხილა და თავად გადაწყვეტილებაშიც უთითებს, რომ მტკიცების ტვირთის გადაანაწილების ამ საკითხის განხილვას მნიშვნელობა ექნებოდა შემდგომ სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის. სასამართლომ განმარტა შემდეგი:

პირველ რიგში სასამართლომ განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ურთიერთმიმართება. სასამართლოს განმარტებით:

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის მიხედვით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს ამავე კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციული წარმოებისთვის (შესაბამისი სახით) დადგენილ წესს. კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინისტრაციული საწესი-

ების დადებასთან დაკავშირებით. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით ყოველი პროცესუალური კანონმდებლობა აირეკლავს და ითვალისწინებს შესაბამისი დარგის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს, პრინციპებს, მიზანს. ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების მეშვეობით პირი ახდენს თავის სუბიექტური უფლებების-სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის რეალიზაციას, ხოლო სასამართლო ამონებს ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერებას.“

აღნიშნული დებულებით სასამართლომ მიუთითა, რომ მმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სწორედ ადმინისტრაციული წარმოების წესის მიხედვით არის ცალკე მიმართულებად გამოყოფილი ადმინისტრაციულ სამართალში. ხოლო, რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს ისინი იგივე წარმატებით მოქმედებს სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას, როგორც ამავე დარგის სხვა მიმართულებების ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლომ, ამ განმარტებით, შექმნა საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინსტიტუტების (კანონიერების პრინციპის, მტკიცები ტვირთის) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ფარგლებში გამოყენებისთვის.

შემდგომ ამისა, სასამართლომ განავითარა მსჯელობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინსტიტუტების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის პროცესში გამოყენების თაობაზე:

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკითხის მიმართებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე, არ უნდა იქნეს გამოყენებული, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სადავოა და დამტკიცებას ექვემდებარება არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე/სადავო ინდაქტის გამოცემის კანონიერება, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენცია, სამართალშეფარდების შესაბამისობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრინციპების დაცვა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ა.შ. არამედ სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნას გადანაწილებული.“

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნას გაგებული, რამდენადაც სადავო ინდაქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის

შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმფციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის კანონიერება მოწმდება არა სამართლებრივი საფუძვლებით (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები) არამედ, ფაქტის არასწორად დადგენისა და შეფასების შედეგად არასწორად ნორმის შეფარდების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განამრტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადავო აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღწერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამდვილობის დადგენაზე, ლოგიკურია, რომ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1 მუხლით გათვალისწინებული საერთო წესი მტკიცების ტვირთის პროპორციულობის და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებების შესახებ, რაც დაკულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.“

გარდა იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზოგადი პრინციპი გამოიყენა სამართალდარღვევის საქმის გადაწყვეტისას, სასამართლო მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის შინაარსში ამოიკითხა. ამასთან, ამავე მუხლის ფარგლებში სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპის გათვალისწინებით პრეზუმირებს კეთილსინდისიერი პატრულ ინსპექტორის სახე, რადგან მას არ აქვს მნიშვნელოვანი პროფესიული უნარები და არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ინტერესი ოქმის ადრესატის მიმართ. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინტერესი არ დასტურდება.

სწორედ ამ გადაწყვეტილებას უკავშირებს შემდეგ უკვე 2013 წლის გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების მიერ, სამართალდარღვევების საქმეებში მტკიცების ტვირთის არასწორ გადანაწილებას, კეთილსინდისიერი მმართველობისა და პოლიციელის ჩვენების უტყუარობის პრეზუმირების დადასტურებულ გარემოებად მიჩნევის მასიური გამოყენების პრობლემას. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო ცდილობს, შეცვალოს საერთო სასამართლოების მიდგომები და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვართ პრცედენტული სამართლის ქვეყანა, ცდილობს უზენაესი სასამართლოს არსის გააზრებით სწორი მიმართულება მისცეს სასამართლოს პრაქტიკის შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავრებით პოლიციელის ჩვენების სანდოობის, კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმირებისა და პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტების ნაკლებ სანდოობის შესახებ, განმარტავს შემდეგს:

„აღნიშნული განმარტებებით (რაც საკასაციო სასამართლოს ინფორმაციით ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკა), სამწუხაროდ, ერთჯერადი ხასიათის არ არის, ამდენად, არსებობს ასეთის გამეორების საშიშროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომმა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში ადეკვატურად და კვალიფიციურად

მიუსადაგონ განსახილველ საქმეებს), ქვემდგომი სასამართლოები უხეშად არღვევენ ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ფუნდამენტურ-მიუკერძოებლობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს.“⁷¹

შესაბამისად, ფაქტია, რომ სასამართლო სისტემის შიგნითაც უზენაესი სასამართლოს დონეზე, არსებობს სწორი ხედვა და მზაობა მსგავსი საქმეების სწორად განხილვისთვის. ამ შემთხვევაში, ნაკლებ ვალიდურია პოზიცია, რომ 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეუძლებელია ნორმათა სხვაგვარი განმარტება. არამედ პირიქით, რეალურად საერთო სასამართლოების მოსამართლეებს აქვთ შესაძლებლობა ნორმები სწორედ ადამიანის უფლებების სასარგებლოდ განმარტონ, თუმცა ალბათ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ეს უფრო მეტად სავარაუდოა მოხდეს.

გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს ავტორიტეტი

ზვიად კუპრაავას საქმე

ზვიად კუპრაავას საქმესთან დაკავშირებით ზემოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოების გამო მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 366(2)-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს სასამართლოს უპატივცემულობას, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით. მოსამართლე ლაშა თავართქილაძემ, რომელმაც ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო განაცხადა, რომ ეს არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ინსტიტუტის შეურაცხყოფაა.

GDI იცავს ზვიად კუპრაავას ინტერესებს ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე საერთო სასამართლოებში. საქმის ფარგლებში შუამდგომლობით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს, ელენე გოგუაძეს, საქმის განხილვის შეჩერებისა და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვასთან თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.

მიუხედავად დაცვის მხარის მნიშვნელოვანი არგუმენტებისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ელენე გოგუაძემ, არ გაიზიარა პოზიცია და 2019 წლის 01 აგვისტოს განაჩენით ზვიად კუპრაავა დამნაშავედ ცნო სასამართლოს უპატივცემულობაში. სასჯელის სახედ და ზომად კი 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით, შესაძლებელი იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და სასამართლოს შენობაში წარმოთქმული მსგავსი ფრაზები მოსამართლის მიმართ წარმოადგენდა სწორედ სასამართლოს უპატივცემულობას, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, იმავე არგუმენტებით, 2019 წლის 09 სექტემბრის განაჩენით, ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, მზია ლომთათიძემ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოში გავასაჩივრეთ სადაც დღემდე მიმდინარეობს წარმოება.

71 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 02 აპრილის Nბს-544-535(კ-12) გადაწყვეტილება.

სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ონლაინ საჯარო სივრცეში

თამაზ სოზაშვილის საქმე

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, სოფიო კილაძის ოფიციალურ Facebook გვერდზე თამაზ სოზაშვილმა კომენტარის სახით დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რის გამოც ის გვერდზე „დაიბლოკა“ და გაეთიშა კომენტარის დაწერის ფუნქცია. აღნიშნულის შესახებ მან შეიტყო 2018 წლის 9 ივნისს.

GDI-ს წარმომადგენლობით თამაზ სოზაშვილმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლის ფარგლებშიც ის სასამართლოსგან მოითხოვდა სოფიო კილაძისთვის დაევალებინათ ქმედების განხორციელება, კერძოდ მოსარჩელისათვის გვერდიდან შეზღუდვის მოხსნა, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელებში არის საჯარო სივრცე, რომელიც ღიაა მოსახლეობისათვის და რომლის ფარგლებშიც მიღებული უნდა იყოს, მათ შორის, კრიტიკული კომენტარები.

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე სოფიო კილაძემ თამაზ სოზაშვილს მოხსნა ფეისბუქ შეზღუდვა, რაც სარჩელის დავის საგანს წარმოადგენდა. ამიტომ, დავის საგნის აღარ არსებობის გამო სასამართლომ საქმისწარმოება შეწყვიტა.

მარიამ დოლიძის საქმე

2018 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ საკუთარ ოფიციალურ Facebook გვერდზე გააკეთა განცხადება 2008 წლის 08 აგვისტოს ომთან დაკავშირებით. აღნიშნულ Facebook პოსტზე კომენტარის სახით კრიტიკული მოსაზრება დააფიქსირა მარიამ დოლიძემ, რაც სრულად ჯდებოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. აღნიშნული კომენტარის გამო მარიამ დოლიძე „დაიბლოკა“ გვერდზე, ხოლო თავად კომენტარი კი წაიშალეს.

2019 წლის 14 იანვარს, GDI-ს წარმომადგენლობით მარიამ დოლიძემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ირაკლი კობახიძისათვის ქმედების განხორციელების დავალება. კერძოდ, შეზღუდვის მოხსნა მისი ოფიციალური გვერდიდან. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელებში არის საჯარო სივრცე, რომელიც ღიაა მოსახლეობისათვის და რომლის ფარგლებშიც მიღებული უნდა იყოს, მათ შორის, კრიტიკული კომენტარები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე არ მიიჩნია განსჯადობის წესებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ თემად და იგი განსახილველად გადასცა სამოქალაქო კოლეგიას. ამ უკანასკნელმა საქმეზე წარმოება შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ ეს საქმეები იყო ჩვენს რეალობაში პირველი და პრეცედენტული, რომელიც სოციალურ ქსელში სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლების, დებატის თავისუფლების შეზღუდვის საკითხს უკავშირდებოდა. მიგვაჩნია, რომ Facebook და

ნებისმიერი სხვა სოციალური ქსელი, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლები არა პირადი, არამედ ოფიციალური ანგარიშებით ოპერირებენ, ერთი მხრივ არის საჯარო სივრცე, ხოლო, მეორე მხრივ, მსგავსი ოპერირება, კომენტარების წაშლა, მომხმარებლების „დაიბლოკვა“ და ა.შ. არის ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების ფარგლებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ნიშანდობლივია, რომ არა ჩვენს წარმოებაში არსებულ საქმეზე, თუმცა, ანალოგიურ საქმეზე იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა. ამ საქმის შემთხვევაშიც, ადმინისტრაციულმა კოლეგიამ საქმე განსახილველად სამოქალაქო კოლეგიას გადაუგზავნა, ხოლო, სამოქალაქო კოლეგიამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში აღძრა დავა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2019 წლის 04 ივნისის განჩინებით, განსჯადობის საკითხი ადმინისტრაციული კოლეგიის სასარგებლოდ გადაწყვიტა. აქვე, მართალია განჩინება მხოლოდ განსჯადობის საკითხს ეხებოდა, თუმცა უზენაესმა სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება არსებით სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური ქსელის მართვა წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას, რაც, მათ შორის, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ფარგლებში ხორციელდება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სოციალურ ქსელში მომხმარებლის დაბლოკვით, იუსტიციის სამინისტრო პოტენციურად ზღუდავდა მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებას.

გამოხატვის თავისუფლება და ქალაქის იერსახე

გია გოქაძის საქმე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 2019 წლის 20 მარტს შეადგინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაგზავნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელიც შედგენილი იყო გია გოქაძის წინააღმდეგ და მიუთითებდა, რომ ამ უკანასკნელმა დაარღვია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის მე-2¹ ნაწილი. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით გოქაძემ თვითმმართველი მუნიციპალიტეტის იერსახე დაამახინჯა. კერძოდ, სამეფო კომპლექსის და ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერების მიმდებარედ არსებულ თეთრ ხიდზე გააკრა წარწერები, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად არასათანადოდ აღდგენილ თეთრ ხიდზე მოძრაობისას მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

GDI იცავდა გია გოქაძის ინტერესებს ქუთაისის სასამართლოში და მიუთითებდა, რომ სახეზე არ იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობა, არამედ ქმედება სრულად ჭდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ გაიზიარა პოზიცია და გია გოქაძე არ მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

ა(ა)იპ „ევროპა ჩვენი სახლიას“ საქმე

მიუხედავად იმისა, რომ ზემოგანხილულ საქმეში, გია გოქაძე სასამართლომ სამართალდამრღვევად არ ცნო, იმავე ფაქტზე (თეთრ ხიდზე სტიკერის გაკვრა) მერიის ზედამხედველობის სამსახურმა კვლავ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, ამჯერად მისი ა(ა)იპ-ის, „ევროპა ჩვენი სახლიას“ წინააღმდეგ.

GDI იცავდა ა(ა)იპ-ის ინტერესებს ქუთაისის სასამართლოში და მიუთითებდა, რომ სახეზე არ იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობა, არამედ ქმედება სრულად ჯდებათ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ გაიზიარა პოზიცია და „ევროპა ჩვენი სახლია“ არ მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ამასთანავე, სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ შუშის ხიდის გაბზარულ ნაწილზე, სტიკერის „სახიფათო“ გაკვრა სრულად ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ამასთან შესაძლოა მსგავსი ქმედება უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებითაც ყოფილიყო დაცული

უფლებადამცველის პრივილეგია არ გააბხილოს მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციის წყარო

დავით სუბელიანის საქმე

დავით სუბელიანი არის უფლებადამცველი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი დაიბარა გამოკითხვაზე და მოთხოვა იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც მათი აზრით არსებითი იყო სავარაუდო დანაშაულის გამოსავლენად. დავით სუბელიანმა განმარტა, რომ ინფორმაცია, რომელსაც მისგან სახელმწიფო ითხოვდა, მას მიღებული ჰქონდა ადამიანისგან, რომელმაც აღნიშნული გაანდო, როგორც უფლებადამცველს, მისივე საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, მან ეს ინფორმაცია მიიღო, როგორც უფლებადამცველმა და მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ადვოკატი, უფლება ქონდა წყარო არ დაესახელებინა.

GDI საქმეში ჩართული იყო, დავით სუბელიანის, როგორც გამოკითხვაზე გამოცხადებული პირის, ადვოკატი. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის ეტაპზე GDI მიუთითებდა, რომ დავით სუბელიანმა ინფორმაცია მიიღო მისი პროფესიული, როგორც უფლებადამცველის, საქმიანობის ფარგლებში და ინფორმაცია მიეკუთვნებოდა პროფესიულ საიდუმლოებას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება უფლებადამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ამასთანავე, ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. შესაბამისად, პოლიციას არ ჰქონდა უფლება დავით სუბელიანისთვის მისი ინფორმაციის წყაროს გამხელა ეიძულებინა.

ამ პოზიციის დაფიქსირების შემდგომ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დავით სუბელიანის მიმართ დამატებით ქმედებებს ადგილი აღარ ქონია.

გიორგი ონიანის საქმე

გიორგი ონიანი არის უფლებადამცველი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს პროკურატურამ იგი დაიბარა გამოკითხვაზე და მოთხოვა იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც მათი აზრით არსებითი იყო სავარაუდო დანაშაულის გამოსავლენად. გიორგი ონიანმა განმარტა, რომ ინფორმაცია, რომელსაც

მისგან სახელმწიფო ითხოვდა, მას მიღებული ჰქონდა ადამიანისგან, რომელმაც აღნიშნული გაანდო მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში წყაროს კონფიდენციალობის დაცვით და შესაბამისად მას უფლება ქონდა წყარო არ დაესახელებინა.

GDI საქმეში ჩართული იყო, გიორგი ონიანის, როგორც გამოკითხვაზე გამოცხადებული ადვოკატი. პროკურატურასთან კომუნიკაციის ეტაპზე GDI მიუთითებდა, რომ გიორგი ონიანმა ინფორმაცია მიიღო მისი პროფესიული, როგორც უფლება დამცველის, საქმიანობის ფარგლებში და ინფორმაცია მიეკუთვნებოდა პროფესიულ საიდუმლოებას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება უფლება დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ამასთანავე, ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. შესაბამისად, პროკურატურას არ ჰქონდა უფლება გიორგი ონიანისთვის მისი ინფორმაციის წყაროს გამხელა ეიძულებინა, ამ პოზიციის დაფიქსირების შემდგომ პროკურატურის მხრიდან საპასუხო ქმედებები არ განხორციელებულა.

ინფორმაციის საჯაროობა

შპს „აქცენტი ჰოლდინგის“ საქმე

შპს „აქცენტი ჰოლდინგი“ არის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ვებ-გვერდის საშუალებით (www.accentnews.ge) აშუქებს მიმდინარე მოვლენებს, აქვეყნებს ინტერვიუებს, ანალიტიკურ მასალებს საინტერესო თემებზე, რეპორტაჟებსა და სხვა სახის მედიაპროდუქტს.

2019 წლის 8 დეკემბერს, შპს „აქცენტი ჰოლდინგის“ დირექტორმა და 100% წილის მფლობელმა გვანცა ფიფია მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, გურამ სუხაშვილს. განმცხადებელი ითხოვდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 2018 წლის განმავლობაში, სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სხვა სტრუქტურული ერთეულების თითოეული თანამშრომლის მიერ აღებული თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, დანამატის შესახებ ინფორმაცია;

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მერი გულუაშვილმა, ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და მოპასუხეს დაავალა 2018 წლის განმავლობაში, სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის თითოეული თანამშრომლის მიერ აღებული თანამდებობრივი სარგოს შესახებ ინფორმაციის გაცემა.

GDI-ს მიერ წარმოებული საქმეების სტატისტიკა

GDI-მ 2019 წლიდან დღემდე აწარმოა 26 საქმე, რომელიც უკავშირდებოდა გამოხატვის თავისუფლებას. მათი უმრავლესობა, თავისი შინაარსით, არის სტრატეგიული მნიშვნელობის, რომელმაც შეცვალა ან უნდა შეცვალოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული პრაქტიკა და სასამართლოს მიდგომები.

GDI-ს მიერ წარმოებული საქმეები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარმოებაშია 1 (ერთი) - მიმდინარე საქმე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებაშია 3 (სამი) - მიმდინარე საქმე ხოლო ერთ საქმეზე მომზადებულია კონსტიტუციური სარჩელი.

საერთო სასამართლოებში:

სისხლის სამართლის მიმართულებით წარმოებაშია 1 (ერთი) - მიმდინარე საქმე.

სამოქალაქო სამართლის მიმართულებით 1 (ერთი) - წარმატებით დასრულებული ხოლო 2(ორი) - მიმდინარე საქმე.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით წარმოებაშია 2 (ორი) წარმატებული, 1 (ერთი) - შეწყვეტილი და 1 (ერთი) - მიმდინარე საქმე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: 8 (რვა) - წარმატებული, 5 (ხუთი) - წარუმატებული და 1 (ერთი) - მიმდინარე საქმე.

